

შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გლობალ კრედიტი"

ფინანსური ანგარიშგება  
2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

და

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გლობალ კრედიტი"  
 ფინანსური ანგარიშგება  
 2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
 თანხები მოცემულია ლარში

შინაარსი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა	1
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	2
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
სრული შემოსავლების ანგარიშგება	5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	6
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	7
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	
1 კომპანია და მისი საქმიანობა	8
2 კომპანიის საოპერაციო გარემო	8
3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	8
4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	10
5 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	16
6 ფული და ფულადი ეკვივალენტები	17
7 გაცემული სესხები	18
8 იჯარა	21
9 გადასახადები	22
10 სხვა აქტივები	23
11 მიღებული სესხები	23
12 სხვა ვალდებულებები	24
13 საკუთარი კაპიტალი	24
14 წმინდა საპროცენტო შემოსავალი	24
15 საოპერაციო ხარჯები	24
16 რისკების მართვა, პოლიტიკა და პროცედურები	25
17 კაპიტალის მართვა	30
18 დაკავშირებული მხარეები	31
19 ფინანსური აქტივები და ვალდებულებები - რეალური ღირებულების შეფასება	31
20 პოტენციური ვალდებულებები	33
21 საწარმოს უწყვეტობის განხილვა	33
22 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	33

**შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გლობალ კრედიტი"**  
**ფინანსური ანგარიშგება**  
**2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის**  
**თანხები მოცემულია ლარში**

---

**მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა**

თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გლობალ კრედიტი" ხელმძღვანელობა.

ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების დაშვების საფუძველზე, თუკი რეალური მდგომარეობა შეუსაბამოს არ ხდის ამ დაშვებას;

მენეჯმენტი აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა;
- აწარმოოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რათა დაიცვას კომპანიის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა დარღვევები.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ:

---

თემური ნიკოლაძე

დირექტორი

შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გლობალ კრედიტი"

თარიღი: 3 ივნისი, 2026

---

ნატალია ლილუაშვილი

მთავარი ბუღალტერი

შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გლობალ კრედიტი"  
ფინანსური ანგარიშგება  
2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
თანხები მოცემულია ლარში

---

**მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა**

თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გლობალ კრედიტის" ხელმძღვანელობა.

ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების დაშვების საფუძველზე, თუკი რეალური მდგომარეობა შეუსაბამოს არ ხდის ამ დაშვებას;

მენეჯმენტი აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა;
- აწარმოოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რათა დაიცვას კომპანიის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა დარღვევები.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ:

  
თუმური ნიკოლაძე  
დირექტორი

შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გლობალ კრედიტი"

თარიღი: 3 ივნისი, 2026

  
ნატალია ლილუაშვილი  
მთავარი ბუღალტერი

**დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა**

**შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გლობალ კრედიტის" მენეჯმენტსა და აქციონერებს**

**მოსაზრება**

ჩვენ ჩავატარეთ შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გლობალ კრედიტის" (შემდგომში „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე სრული შემოსავლების, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს წლისათვის, რომელიც დასრულდა ზემოთ აღნიშნული თარიღით, აგრეთვე მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებსა და სხვა ასხნა-განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით და შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს (ფასს).

**მოსაზრების საფუძველი**

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - "აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე" - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსისა (IESBA კოდექსი) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, ჩვენ შევასრულეთ ამ ნორმებით და IESBA ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

**სხვა ინფორმაცია, რომელიც არ არის ფინანსური ანგარიშგება და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნა**

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია მმართველობით ანგარიშში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ჩვენი ვალდებულებაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი თანდართული მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედრილობაზე და ასევე მოიცავს თუ არა იგი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

- იმ ფინანსური წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, თანხვედრაშია ამავე ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

**მენეჯმენტისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე**

მენეჯმენტი პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტს ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენეჯმენტს განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

**დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა (გაგრძელება)**

**აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე**

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, რომ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას, მათ შორის გამოწვეულს თაღლითობით ან შეცდომით, და გავცეთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებულ ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა თუკი გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებლის მიერ ფინანსური ანგარიშგების გამოყენების საფუძველზე მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტის პროცესში აუდიტორის მიერ პროფესიული მსჯელობის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულსხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ მენეჯმენტის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს მენეჯმენტის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ორგანიზაცია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას, მის შინაარსს და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს. ამასთან ვაფასებთ, ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციები და მოვლენები უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბის, ვადებისა და ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

**მიხეილ აბაიძე / სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი**

ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-320544  
აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-865011

**თარიღი: 3 ივნისი, 2026**  
**თბილისი, საქართველო**



შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გლობალ კრედიტი"  
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება  
 2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
 თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნა	31-დეკ-25	31-დეკ-24
<b>აქტივები</b>			
ფული და ფულის ეკვივალენტები	6	368,151	377,626
საგადასახადო აქტივები	9	51,272	1,391
გაცემული სესხები	7	2,355,872	2,178,858
აქტივის გამოყენების უფლება	8	22,398	44,493
ძირითადი საშუალებები		12,994	21,771
გადავადებული საგადასახადო აქტივი		6,536	200
სხვა აქტივები	10	76,916	74,044
<b>სულ აქტივები</b>		<b>2,894,139</b>	<b>2,698,383</b>
<b>ვალდებულებები</b>			
მიღებული სესხები	11	219,848	-
საიჯარო ვალდებულება	8	28,123	52,607
სხვა ვალდებულებები	12	50,049	45,179
<b>სულ ვალდებულებები</b>		<b>298,020</b>	<b>97,786</b>
<b>კაპიტალი</b>			
საწესდებო კაპიტალი	13	2,010,000	2,010,000
გაუნაწილებელი მოგება / (ზარალი)		586,119	590,597
<b>სულ კაპიტალი</b>		<b>2,596,119</b>	<b>2,600,597</b>
<b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>		<b>2,894,139</b>	<b>2,698,383</b>

თემური ნიკოლაძე  
 დირექტორი


ნატალია ლილუაშვილი  
 მთავარი ბუღალტერი

შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გლობალ კრედიტი"

თარიღი: 3 ივნისი, 2026

შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გლობალ კრედიტი"  
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება  
 2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
 თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნა	31-დეკ-25	31-დეკ-24
<b>აქტივები</b>			
ფული და ფულის ეკვივალენტები	6	368,151	377,626
საგადასახადო აქტივები	9	51,272	1,391
გაცემული სესხები	7	2,355,872	2,178,858
აქტივის გამოყენების უფლება	8	22,398	44,493
ძირითადი საშუალებები		12,994	21,771
გადავადებული საგადასახადო აქტივი		6,536	200
სხვა აქტივები	10	76,916	74,044
<b>სულ აქტივები</b>		<b>2,894,139</b>	<b>2,698,383</b>
<b>ვალდებულებები</b>			
მიღებული სესხები	11	219,848	-
საიჯარო ვალდებულება	8	28,123	52,607
სხვა ვალდებულებები	12	50,049	45,179
<b>სულ ვალდებულებები</b>		<b>298,020</b>	<b>97,786</b>
<b>კაპიტალი</b>			
საწესდებო კაპიტალი	12	2,010,000	2,010,000
გაუნაწილებელი მოგება / (ზარალი)		586,119	590,597
<b>სულ კაპიტალი</b>		<b>2,596,119</b>	<b>2,600,597</b>
<b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>		<b>2,894,139</b>	<b>2,698,383</b>

  
 თემური ნიკოლაძე  
 დირექტორი

  
 ნატალია ლილუაშვილი  
 მთავარი ბუღალტერი

შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გლობალ კრედიტი"

თარიღი: 3 ივნისი, 2026

შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გლობალ კრედიტი"

სრული შემოსავლების ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნა	2025	2024
საპროცენტო შემოსავალი	14	408,398	426,129
საპროცენტო ხარჯი მიღებული სესხებიდან	11	(8,894)	(16,008)
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებიდან	8	(5,516)	(8,550)
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი</b>		<b>393,988</b>	<b>401,572</b>
მოგება/(ზარალი) სესხების შესაძლო დანაკარგების მიხედვით	7	56,707	192,745
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი სესხის გაუფასურების ზარალის შემდეგ</b>		<b>450,695</b>	<b>594,317</b>
შემოსავალი ჯარიმების სახით		9,129	18,630
საპროცენტო შემოსავალი		8,094	4,301
სხვა შემოსავალი		3,051	30,461
საოპერაციო ხარჯები	15	(473,149)	(496,293)
კურსთაშორის სხვაობის წმინდა მოგება/(ზარალი)		(3,342)	1,042
<b>მოგება/(ზარალი) დაბეგრამდე</b>		<b>(5,522)</b>	<b>152,457</b>
მოგების გადასახადის (ხარჯი)/შემოსავალი	9	1,043	5,293
<b>მიმდინარე წლის წმინდა მოგება / (ზარალი)</b>		<b>(4,478)</b>	<b>157,750</b>
სხვა სრული შემოსავლები		-	-
<b>მიმდინარე წლის სრული შემოსავლები / (ხარჯები)</b>		<b>(4,478)</b>	<b>157,750</b>

თემური ნიკოლაძე

დირექტორი

შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გლობალ კრედიტი"

თარიღი: 3 ივნისი, 2026

ნატალია ლილუაშვილი

მთავარი ბუღალტერი

შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გლობალ კრედიტი"  
 სრული შემოსავლების ანგარიშგება  
 2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
 თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნა	2025	2024
საპროცენტო შემოსავალი	14	408,398	426,129
საპროცენტო ხარჯი მიღებული სესხებიდან	11	(8,894)	(16,008)
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებიდან	8	(5,516)	(8,550)
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი</b>		<b>393,988</b>	<b>401,572</b>
მოგება/(ზარალი) სესხების შესაძლო დანაკარგების მიხედვით	7	56,707	192,745
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი სესხის გაუფასურების ზარალის შემდეგ</b>		<b>450,695</b>	<b>594,317</b>
შემოსავალი ჯარიმების სახით		9,129	18,630
საპროცენტო შემოსავალი		8,094	4,301
სხვა შემოსავალი		3,051	30,461
საოპერაციო ხარჯები	15	(473,149)	(496,293)
კურსთაშორის სხვაობის წმინდა მოგება/(ზარალი)		(3,342)	1,042
<b>მოგება/(ზარალი) დაბეგრამდე</b>		<b>(5,522)</b>	<b>152,457</b>
მოგების გადასახადის (ხარჯი)/შემოსავალი	9	1,043	5,293
<b>მიმდინარე წლის წმინდა მოგება / (ზარალი)</b>		<b>(4,478)</b>	<b>157,750</b>
სხვა სრული შემოსავლები		-	-
<b>მიმდინარე წლის სრული შემოსავლები / (ხარჯები)</b>		<b>(4,478)</b>	<b>157,750</b>

  
 თემური ნიკოლაძე  
 დირექტორი

  
 ნატალია ლილუაშვილი  
 მთავარი ბუღალტერი

შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გლობალ კრედიტი"

თარიღი: 3 ივნისი, 2026

შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გლობალ კრედიტი"  
 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება  
 2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
 თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნა	2025	2024
<b>მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე</b>		<b>152,457</b>	<b>152,457</b>
<i>კორექტირებები:</i>			
ცვეთა და ამორტიზაცია		8,778	8,610
აქტივის გამოყენების უფლების ამორტიზაციის ხარჯი		22,096	22,096
საპროცენტო შემოსავალი		(408,398)	(426,129)
საპროცენტო ხარჯი		14,410	24,557
შემოსავალი/(ზარალი) სესხების შესაძლო დანაკარგების მიხედვით		(56,707)	(192,745)
კურსთაშორისი სხვაობის წმინდა მოგება/(ზარალი)		3,342	(565)
<b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებებამდე</b>		<b>(264,023)</b>	<b>(411,719)</b>
(ზრდა) / კლება გაცემულ სესხებში		(120,307)	643,356
(ზრდა) / კლება სხვა აქტივებში		(2,872)	37,286
(ზრდა) / კლება საგადასახადო აქტივებში		(56,217)	36,944
ზრდა / (კლება) სხვა ვალდებულებებში		4,870	9,281
საპროცენტო შემოსავლის მიღება		252,635	414,947
მოგების გადასახადის შემცირება/(გადახდა)/		1,043	5,293
<b>სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>		<b>(184,870)</b>	<b>735,387</b>
<i>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</i>			
ძირითადი საშუალებების (შეძენა) / გაყიდვა		299	7,195
<b>სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>		<b>299</b>	<b>7,195</b>
<i>ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</i>			
ცვლილებები მიღებულ სესხებში		219,848	(876,817)
საპროცენტო ხარჯის გადახდა		(14,410)	(18,263)
საიჯარო ვალდებულების დაფარვა		(30,000)	(30,000)
საწესდებო კაპიტალის ზრდა		-	1,175
<b>სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</b>		<b>175,438</b>	<b>(923,905)</b>
<b>ფული და ფულის ეკვივალენტების ნეტო ცვლილება</b>		<b>(9,133)</b>	<b>(181,323)</b>
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში		377,626	558,379
საკურსო სხვაობის შედეგი ფულზე და ფულის ეკვივალენტებზე		(342)	570
<b>ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს</b>	<b>6</b>	<b>368,151</b>	<b>377,626</b>

თემური ნიკოლაძე

დირექტორი

შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გლობალ კრედიტი"

თარიღი: 3 ივნისი, 2026


ნატალია ლილუაშვილი

მთავარი ბუღალტერი

შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გლობალ კრედიტი"  
 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება  
 2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
 თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნა	2025	2024
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		152,457	152,457
<i>კორექტირებები:</i>			
ცვეთა და ამორტიზაცია		8,778	8,610
აქტივის გამოყენების უფლების ამორტიზაციის ხარჯი		22,096	22,096
საპროცენტო შემოსავალი		(408,398)	(426,129)
საპროცენტო ხარჯი		14,410	24,557
შემოსავალი/(ზარალი) სესხების შესაძლო დანაკარგების მიხედვით		(56,707)	(192,745)
კურსთაშორისი სხვაობის წმინდა მოგება/(ზარალი)		3,342	(565)
<b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებებამდე</b>		<b>(264,023)</b>	<b>(411,719)</b>
(ზრდა) / კლება გაცემულ სესხებში		(120,307)	643,356
(ზრდა) / კლება სხვა აქტივებში		(2,872)	37,286
(ზრდა) / კლება საგადასახადო აქტივებში		(56,217)	36,944
ზრდა / (კლება) სხვა ვალდებულებებში		4,870	9,281
საპროცენტო შემოსავლის მიღება		252,635	414,947
მოგების გადასახადის შემცირება/(გადახდა)/		1,043	5,293
<b>სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>		<b>(184,870)</b>	<b>735,387</b>
<b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>			
ძირითადი საშუალებების (შეძენა) / გაყიდვა		299	7,195
<b>სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>		<b>299</b>	<b>7,195</b>
<b>ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</b>			
ცვლილებები მიღებულ სესხებში		219,848	(876,817)
საპროცენტო ხარჯის გადახდა		(14,410)	(18,263)
საიჯარო ვალდებულების დაფარვა		(30,000)	(30,000)
საწესდებო კაპიტალის ზრდა		-	1,175
<b>სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</b>		<b>175,438</b>	<b>(923,905)</b>
<b>ფული და ფულის ეკვივალენტების ნეტო ცვლილება</b>		<b>(9,133)</b>	<b>(181,323)</b>
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში		377,626	558,379
საკურსო სხვაობის შედეგი ფულზე და ფულის ეკვივალენტებზე		(342)	570
<b>ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს</b>	<b>6</b>	<b>368,151</b>	<b>377,626</b>

  
 თეძური ნიკოლაძე  
 დირექტორი

  
 ნატალა ლილუაშვილი  
 მთავარი ბუღალტერი

შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გლობალ კრედიტი"  
 თარიღი: 3 ივნისი, 2026

შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გლობალ კრედიტი"  
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება  
 2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
 თანხები მოცემულია ლარში

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
<b>2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>2,008,825</b>	<b>432,847</b>	<b>2,441,672</b>
შენატანი საწესდებო კაპიტალში	1,175	-	1,175
პერიოდის მოგება / (ზარალი)	-	157,750	157,750
<b>2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>2,010,000</b>	<b>590,597</b>	<b>2,600,597</b>
შენატანი საწესდებო კაპიტალში	-	-	-
პერიოდის მოგება / (ზარალი)	-	(4,479)	(4,479)
<b>2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>2,010,000</b>	<b>586,118</b>	<b>2,596,118</b>

თემური ნიკოლაძე  
 დირექტორი

ნატალია ლილუაშვილი  
 მთავარი ბუღალტერი

შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გლობალ კრედიტი"  
 თარიღი: 3 ივნისი, 2026

შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გლობალ კრედიტი"  
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება  
 2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
 თანხები მოცემულია ლარში

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
<b>2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>2,008,825</b>	<b>432,847</b>	<b>2,441,672</b>
შენატანი საწესდებო კაპიტალში	1,175	-	1,175
პერიოდის მოგება / (ზარალი)	-	157,750	157,750
<b>2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>2,010,000</b>	<b>590,597</b>	<b>2,600,597</b>
შენატანი საწესდებო კაპიტალში	-	-	-
პერიოდის მოგება / (ზარალი)	-	(4,479)	(4,479)
<b>2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>2,010,000</b>	<b>586,118</b>	<b>2,596,118</b>

  
 თემური ნიკოლაძე  
 დირექტორი

  
 ნატალია ლილუაშვილი  
 მთავარი ბუღალტერი

შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გლობალ კრედიტი"  
 თარიღი: 3 ივნისი, 2026

**1 კომპანია და მისი საქმიანობა**

შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გლობალ კრედიტი" (შემდგომში მოხსენიებული როგორც „კომპანია“) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც რეგისტრირებულია 2008 წლის 10 ოქტომბერს ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის მიერ - ს/კ 212918100. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი N33.

2008 წლის 30 ოქტომბერს კომპანია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დარეგისტრირდა, როგორც მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, რეგისტრაციის N251008.

შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გლობალ კრედიტი"-ს დამფუძნებლები არიან:

დამფუძნებელი	31-დეკ-25	31-დეკ-24
სოსო ჭანტურია	40.00%	40.00%
ელგუჯა თავბერიძე	40.00%	40.00%
თემური ნიკოლაძე	20.00%	20.00%
	<b>100.00%</b>	<b>100.00%</b>

კომპანიის მმართველობითი ორგანო არის სამეთვალყურეო საბჭო, რომლის წევრებსაც ნიშნავს პარტნიორთა საერთო კრება. კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობას ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელიც ინიშნება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. კომპანიის მიზანია, ხელი შეუწყოს და განავითაროს მცირე და საშუალო ბიზნესი საქართველოში, გააუმჯობესოს კლიენტების სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა ხელმისაწვდომი ფინანსური მომსახურების შეთავაზების გზით. კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის მიკრო სესხების გაცემა. კომპანიის ფინანსური პროდუქტებია: ინდივიდუალური ბიზნეს სესხები, აგრო სესხები, სამომხმარებლო სესხები, სალომბარე სესხები, იპოთეკური სესხები და ა.შ. კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე, მას არ გააჩნია შვილობილი კომპანიები ან/და ფილიალები.

**2 კომპანიის საოპერაციო გარემო**

კომპანია საქმიანობას ახორციელებს საქართველოში. საქართველოში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობა რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ. ეს რეგულაციები მოიცავს მინიმალური საწესდებო კაპიტალის ფულადი სახით შენატანის განხორციელებას (მინიმუმ 1,000,000 ლარი) და ფინანსური ანგარიშგების წარდგენას ფასს-ის შესაბამისად. საქართველოში დღესდღეობით მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს ეკრძალებათ კლიენტებისგან დეპოზიტების მიღება და სესხად ერთ ინდივიდზე 200,000 ლარზე მეტი თანხის გაცემა.

ისეთი განვითარებადი ეკონომიკები, როგორც საქართველოშია, ძალიან მგრძობიარენი არიან ბაზარზე სწრაფი ცვლილებებისა და მსოფლიოში ეკონომიკური კრიზისების მიმართ. შესაბამისად, საქართველოს ბაზარზე ოპერაციების წარმოება ისეთ რისკებთანაა დაკავშირებული, რომლებიც არაა დამახასიათებელი განვითარებული ბაზრებისათვის. თუმცა, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობამ შეცვალა სამოქალაქო, სისხლის, საგადასახადო, ადმინისტრაციული და სამეწარმეო კანონები, რამაც დადებითად იმოქმედა ქვეყანაში საერთო საინვესტიციო გარემოზე. საქართველოს კარგი საერთაშორისო რეპუტაცია აქვს საინვესტიციო გარემოს კუთხით. საერთაშორისო გამჭვირვალობის მიერ გამოქვეყნებული 2025 წლის კორუფციის აღქმის ინდექსში საქართველოს მაჩვენებელი 56 ქულაა (180 ქვეყანას შორის 56-ე ადგილს იკავებს).

**3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა**

**3.1 ანგარიშგების მომზადების საფუძველი**

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემული „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ და „ინტერპრეტაციების“ (მთლიანობაში ფასსს) შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს. ფინანსური ანგარიშგება შედგენილია 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის, სრული შემოსავლების, ფულადი სახსრების მოძრაობისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებებს და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

### 3 მნიშვნელოვანი საარციზო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

#### 3.1 ანგარიშგების მოზადების საფუძველი (გაგრძელება)

კომპანია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს კლასიფიკაციას ხარჯების ფუნქციის მიხედვით. კომპანიას მიაჩნია, რომ ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ფორმატი ეფუძნება ლიკვიდურობას.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება შედგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ლარში („ლარი“). ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ერთ ლარამდე სიზუსტით. ფინანსური ანგარიშგების მოზადება მოითხოვს შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენენ წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე, ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის არსებულ პირობით აქტივებისა და ვალდებულებების მოცულობაზე და საანგარიშგებო პერიოდში წარმოდგენილი შემოსავლებისა და ხარჯების თანხებზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს შეფასებები ეყრდნობა მენეჯმენტის მხრიდან არსებული მოვლენებისა და ქმედებების ცოდნას, ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა საბოლოო ჯამში განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან.

#### 3.2 შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მოზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ საარციზო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. პირვანდელი ღირებულება, ზოგადად, დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან რომლის გადახდა ხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, კომპანია იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უკანასკნელი ტრანზაქციის ფასებს, ან დისკონტირებული ფულადი ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

სამართლიანი ღირებულება იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რამდენად ხელმისაწვდომია შეფასებისთვის საჭირო მონაცემები და მონაცემთა მნიშვნელობა სამართლიანი ღირებულებით შეფასების პროცესში, მთლიანობაში:

- დონე 1 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება იდენტური აქტივების ან ვალდებულებების შეფასებით მოქმედ ბაზრებზე კოტირებული (არაკოტირებული) ფასებით;
- დონე 2 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება სხვა მდგენელების მიხედვით, გარდა დონე 1-გათვალისწინებული კოტირებული ფასებისა, რომლებიც ფიქსირდება აქტივისა და ვალდებულებისათვის ან პირდაპირი სახით (მაგ: ფასების სახით) ან არაპირდაპირი სახით (მაგ: ფასებიდან გამოთვლილი მონაცემების სახით);
- დონე 3 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომლებიც მოიცავს აქტივების ან ვალდებულებების მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობა საბაზრო ფასებს (არასაბაზრო მონაცემები).

#### 3.3 ფუნქციონირებადი საწარმო

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით. კომპანიამ მოახდინა სამომავლო პერსპექტივის შეფასება. ხელმძღვანელობის ფინანსური პროგნოზის მიხედვით კომპანია შეძლებს საოპერაციო ფულადი ნაკადებით ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხების სრულად გადახდას ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების დღიდან უწყვეტი 12 თვის განმავლობაში. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საჭიროების შემთხვევაში შეძლებს დაფინანსების მიღებას ფინანსური ინსტიტუტებიდან და პარტნიორებიდან და აღნიშნული არ წარმოადგენს მნიშვნელოვან განუსაზღვრელობას. ამის საფუძველზე, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან უწყვეტი 12 თვის განმავლობაში, დაკავშირებული არ არის არსებით განუსაზღვრელობასთან.

**3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

**3.4 ახალი და განახლებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები**

მიმდინარე წელს არ ყოფილა მიღებული ახალი სტანდარტები, რომლებმაც ფინანსურ ანგარიშგებაზე არსებითი გავლენა მოახდინეს.

**3.5 სტანდარტები, რომელიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული**

ქვემოთ მოცემული სტანდარტები და ცვლილებები ჯერ კიდევ არ არის ძალაში, მაგრამ მომავალში შესაძლოა, მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 9-ისა და ფასს 7-ის შესწორებები - ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციისა და შეფასების მოთხოვნების შესწორებები.

ეს შესწორებები ცვლის მოთხოვნებს იმის შესახებ, როდის შეიძლება შეწყდეს ფინანსური ვალდებულების აღიარება, თუკი ვალდებულება დაიფარა ელექტრონული გადახდების სისტემის მეშვეობით, ან როდის შეიძლება, რომ ფულადი ნაკადები მიჩნეული იყოს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდად და, მაშასადამე, შესაძლებელი გახდეს ფინანსური აქტივების კლასიფიცირება ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ კატეგორიად.

მიუხედავად იმისა, რომ კომპანია ჯერ კიდევ აფასებს გავლენას, ამჟამინდელი მოლოდინით, ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის დროის შესახებ ცვლილებებმა შესაძლოა გავლენას მოახდინოს კომპანიის ფინანსურ ვალდებულებებზე, თუმცა, ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის შესახებ ცვლილების გავლენა კომპანიაზე მოსალოდნელი არ არის.

ცვლილებები ძალაშია 2026 წლის ფინანსური ანგარიშგებისთვის.

ფასს 18 ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და გამჟღავნება

ეს სტანდარტი ჩაანაცვლებს ბასს 1-ს "ფინანსური ანგარიშგების წარდგენა". მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მოთხოვნა უცვლელი დარჩება, ახალი სტანდარტი გავლენას მოახდენს მოგება-ზარალის ანგარიშის წარდგენაზე და, შესაბამისად, ფულადი სახსრების დინამიკის ანგარიშზე. ის ასევე მოითხოვს არასაფინანსო ანგარიშგების მართვის საქმიანობის საზომების გამჟღავნებას და შესაძლოა გავლენა იქონიოს აგრეგაციის და დისაგრეგაციის დონეზე ძირითად ფინანსურ ანგარიშგებასა და შენიშვნებში.

ფასს 18 ვრცელდება პერიოდებზე, რომლებიც იწყება 2027 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ, და გამოყენებული იქნება რეტროსპექტიულად. კომპანია ამჟამად აგრძელებს იმის შეფასებას, თუ რა გავლენას მოახდენს ფასს 18 კომპანიაზე.

არ არსებობს სხვა ახალი სტანდარტი ან ცვლილება, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს კომპანიაზე.

**4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა**

**4.1 უცხოური ვალუტის გადაფასება**

ფულად აქტივებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებული საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება ან ზარალი არის პერიოდის დასაწყისში სამუშაო ვალუტაში განსაზღვრულ ამორტიზირებულ ღირებულებასა და პერიოდის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსით უცხოურ ვალუტაში კონვერტირებულ ამორტიზირებულ ღირებულებას შორის სხვაობა. ქვემოთ მოცემულია 31 დეკემბრისათვის უცხოური ვალუტის ნაშთების ლარებში გადაყვანისათვის გამოყენებული ძირითადი განაკვეთი:

	31-დეკ-25	31-დეკ-24
აშშ დოლარი	2.6951	2.8068
ევრო	3.1737	2.9306

**4.2 ურთიერთგადაფარვა**

ფინანსური აქტივები (გაცემული სესხები და მოთხოვნები) და ვალდებულებები (მიღებული სესხები და ვალდებულებები) ურთიერთგადაფარება და აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა თანხით მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის კანონიერი უფლება და არსებობს განზრახვა იმისა, რომ აღნიშნული თანხები ანაზღაურდეს წმინდა ღირებულებით ან მოხდეს აქტივების და ვალდებულებების ანაზღაურება ერთდროულად. შემოსავლების და ხარჯების ურთიერთგადაფარვა არ ხდება, თუ ის არ მოითხოვება და ნებადართული არ არის ფასს-ის მიხედვით და არ არის თანდართული კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში.

#### 4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

##### 4.3 ფინანსური ინსტრუმენტები

###### თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები აისახება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როდესაც იგი ხდება ხელშეკრულების მონაწილე მხარე.

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური ინსტრუმენტები ფასდება იმ დანახარჯებით დაკორექტირებული სამართლიანი ღირებულებებით, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შექმნასთან, ან ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან, იმ ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში რომელიც შეფასებული არ არის სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

###### კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

ფასს 9-ის „ფინანსური ინსტრუმენტები“ შესაბამისად საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება შემდგომი კატეგორიებიდან ერთ-ერთად:

- შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული;
- შემდგომში სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით; და
- შემდგომში სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

###### ფინანსური აქტივების შეფასება ამორტიზებული ღირებულებებით

ფინანსური აქტივები ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ერთდროულად კმაყოფილდება შემდგომი 2 გარემოება:

- კომპანია აქტივს ფლობს ბიზნეს-მოდელით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად; და
- ფინანსური აქტივების სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადს რომლებიც ერთპიროვნულად წარმოადგენს ძირი თანხის და პროცენტის გადახდას ძირი თანხის დარჩენილ ნაწილზე.

თავდაპირველი აღიარების შემდგომ ფინანსური აქტივები ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის (EIR) გამოყენებით და ექვემდებარება გაუფასურებას. აქტივის აღიარების შეწყვეტის, მოდიფიცირების ან გაუფასურების შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

###### ფინანსური აქტივების შეფასება სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით

ფინანსური აქტივი ფასდება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში, თუ ის აკმაყოფილებს მომდევნო 2 პირობას და არ ექვემდებარება მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული აქტივის პირობას:

- კომპანია აქტივს ფლობს ბიზნეს-მოდელით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად ან გასაყიდად; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც ერთპიროვნულად წარმოადგენს ძირი თანხის და პროცენტის გადახდას ძირი თანხის დარჩენილ ნაწილზე.

თავდაპირველი აღიარების შემდგომ ფინანსური აქტივები ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით და ექვემდებარება გაუფასურებას. აქტივის აღიარების შეწყვეტის, მოდიფიცირების ან გაიფასურების შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

###### ფინანსური აქტივების შეფასება სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით

ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული, როგორც ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული, ან სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, უნდა შეფასდეს სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

კომპანიის ყველა ფინანსურ აქტივი შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით.

#### 4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

##### 4.3 ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

###### ბიზნეს მოდელის შეფასება

ფასს 9-ის მიხედვით არსებობს 3 სახის ბიზნეს მოდელი:

- აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად: ამ ბიზნეს მოდელის მიზანია აქტივების ფლობა მათი არსებობის მანძილზე პროცენტის, ძირისა და სხვა დაკავშირებული ფულადი ნაკადების გენერირებისათვის;
- აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად, ან და გასაყიდად: ეს ბიზნეს მოდელი წინას მსგავსია, იმ განსხვავებით, რომ კომპანიამ შეიძლება გადაწყვიტოს მისი გაყიდვა ან ლიკვიდობის მიზნებისთვის ფლობა, სამან აქტივს ვადა დაუდგება.
- სხვა: ყველა ის მოდელი, რომელიც არ ხვდება ზემოთ მოცემული მოდელების კრიტერიუმში.

ბიზნეს მოდელის შეფასებისას კომპანიამ გაითვალისწინა: რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლები, რომ განესაზღვრა თუ როგორ იცვლებოდა ბიზნეს მოდელი და ფინანსური ინსტრუმენტი ამ ბიზნეს მოდელში.

###### მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდა

იმის შეფასებისას, წარმოადგენენ თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდებს, კომპანია აფასებს ინსტრუმენტის სახელშეკრულებლო პირობებს.

სახელშეკრულებლო ფულადი ნაკადები, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას, საბაზისო სასესხო შეთანხმების პირობების შესაბამისია. პროცენტი განისაზღვრება, როგორც ფულის რაოდენობითი ღირებულებისა და დარჩენილ ძირ თანხასთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის ანაზღაურება კონკრეტული პერიოდის განმავლობაში ის შეიძლება ასევე ითვალისწინებდეს სესხის გაცემასთან დაკავშირებული სხვა ძირითადი რისკების და დანახარჯების კონპესაციას, რაც დაკავშირებულია დროის გარკვეულ პერიოდში ფინანსური აქტივის შენარჩუნებასთან ასევე საბაზრო სასესხო შეთანხმების პირობების შესაბამის მოგების მარჟასაც.

###### ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც შესაბამისია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური ჯგუფის ნაწილის) აღიარება წყდება მაშინ, როდესაც:

- აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის;
- კომპანიამ დათმო ფინანსური აქტივებიდან მისაღები ფულადი სახსრების საკონტრაქტო უფლებები, ან მიიღო ვალდებულება გადაიხადოს მიღებული ფული მთლიანად მესამე მხარის მიმართ;
- ან (ა) გადასცემს არსებითად ყველა რისკს და სარგებელს ან (ბ) არსებითად არც გადასცემს და არც იტოვებს ყველა რისკსა და სარგებელს, მაგრამ გადასცემს კონტროლს აქტივზე.

###### ჩამოწერა

სესხები ჩამოიწერება (მთლიანად ან ნაწილობრივ) როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი ფინანსური აქტივის ნაწილობრივი ან მთლიანი აღდგენისა. ეს არის ისეთი შემთხვევა, როდესაც კომპანია ვარაუდობს, რომ მსესხებელს არ აქვს შესაბამისი აქტივი ან შემოსავლის წყარო, რითაც იგი უზრუნველყოფს ფულადი ნაკადების გენერირებას იმისთვის, რომ დაფაროს ჩამოწერის საგანი. აღნიშნული შეფასება ხორციელდება ინდივიდუალური აქტივების დონეზე.

სესხის ჩამოწერა ხორციელდება გაუფასურების რეზერვის ხარჯზე. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტას.

###### ფინანსური აქტივების გაუფასურება

ანარიცხებთან დაკავშირებით ბასს 39-ის მიდგომა „გაწეული ზარალი“ (CL), ფასს 9-ის მიღებამ ფუნდამენტურად შეცვალა და „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის“ (ECL) მოდელით ჩაანაცვლა, იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომელიც აღიარებულია, როგორც შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ან შემდგომში სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით.

ფასს 9-ის მიხედვით გაუფასურების შეფასების შესახებ ინფორმაცია მოცემულია შენიშვნა 18 (რისკების მართვა) და შენიშვნა 7 (გაცემული სესხები).

###### გაცემული სესხების რესტრუქტურირება

რესტრუქტურირების ოპერაცია სრულდება არსებული სასესხო ვალდებულების ფარგლებში. კომპანიის და ამ მსესხებელს შორის ფორმდება შეთანხმება პირობების ცვლილების შესახებ და იმავე სესხისათვის ხდება ახალი გრაფიკის აგება.

კომპანიისათვის სესხის რესტრუქტურირაცია რისკის ცვლილებების მაჩვენებელია.

#### 4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

##### 4.3 ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

###### ფინანსური ვალდებულებები

სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით ფინანსური ვალდებულებები უნდა დაკლასიფიცირდეს, როგორც შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთი:

- შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული; ან
- სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით.

კომპანიამ შეაფასა რომელი ბიზნესის მოდელი იყო ყველაზე შესაბამისი მისთვის და ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირდა როგორც შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული.

კომპანიის შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ვალდებულებები მოიცავს სხვა ვალდებულებებს, მიღებულ სესხებსა და დეპოზიტებს. სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისათვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყისი გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისათვის.

###### ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით ან არსებული ვალდებულებების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

##### 4.4 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულადი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, საბანკო ანგარიშზე არსებული ფულად სახსრებს და მოთხოვნად დეპოზიტებს.

##### 4.5 მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ

ფინანსური ინსტიტუტების მიმართ არსებული მოთხოვნები აისახება ამორტიზებული ღირებულებით.

##### 4.6 არაფინანსური აქტივები

გადავადებული გადასახადების გარდა, კომპანიის სხვა არაფინანსური აქტივების შეფასება ხდება თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის იმის დასადგენად, არსებობს თუ არა გაუფასურების მაჩვენებელი.

არაფინანსური აქტივების ანაზღაურებადი ღირებულება არის ამ აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მაშინ, როცა აქტივის ან მისი ფულადი ნაკადის წარმოქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას.

##### 4.7 იჯარა

კომპანია იყენებს აღიარების, შეფასების და წარდგენის ერთ მიდგომას ყველა იჯარისათვის, გარდა მოკლევადიანი (12 თვეზე ნაკლები) იჯარისა და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებისა.

**აქტივის გამოყენების უფლება** - კომპანია გამოყენების უფლების სახით არსებულ აქტივს აღიარებს იჯარის დაწყების თარიღისათვის და აფასებს თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი (არსებობის შემთხვევაში) და კორექტირდება საიჯარო ვალდებულების ყოველი ხელახალი შეფასებისას. გამოყენების უფლების სახით არსებული აქტივის თვითღირებულება მოიცავს აღიარებული საიჯარო ვალდებულებების, გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯების და იჯარის დაწყების თარიღით ან თარიღამდე გადახდილ იჯარების თანხებს, რასაც აკლდება მიღებული საიჯარო შეღავათები. გამოყენების უფლების სახით არსებული აქტივი ექვემდებარება ცვეთას, შესაბამისად კომპანია ცვეთას არიცხავს წარფიცი მეთოდით იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე; აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი.

**4 ძირითადი საარტიკვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

**4.7 იჯარა (გაგრძელება)**

**საიჯარო ვალდებულება** - კომპანია საიჯარო ვალდებულებას აღიარებს იჯარის დაწყების თარიღისათვის და გამოითვლება, როგორც იჯარის ვადის განმავლობაში გადასახდელი საიჯარო თანხების დღევანდელი ღირებულება. საიჯარო გადასახადები მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს, შემცირებულ მისაღები საიჯარო შეღავათებით, ცვლად საიჯარო გადასახადებს, რომელიც დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე და თანხებს, რომელთა გადახდა მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით. ცვლადი საიჯარო გადასახადები, რომლებიც მიზნული არ არის ინდექსზე ან განაკვეთზე, აღიარებულია იმ პერიოდის ხარჯად, რომლის განმავლობაშიც დგება გადახდის გამომწვევი მოვლენა ან გარემოება.

საიჯარო გადასახადების დღევანდელი ღირებულების გამოსათვლელად მისი იყენებს იჯარის დაწყების მომენტიდან ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებულ, სესხებზე წლიური საბაზრო საპროცენტო განაკვეთებს იურიდიული პირებისათვის, თუ საიჯარო ხელშეკრულებაში საპროცენტო განაკვეთი არ არის ნაგულისხმევი. იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ, იზრდება საბალანსო ღირებულება საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტის ასახვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდების მიხედვით. საიჯარო ვალდებულების საბალანსო ღირებულება ხელახლა ფასდება, თუ ხდება იჯარის ვადის მოდიფიკაცია ან ცვლილება, თუ იცვლება არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადასახადები ან ცვლილება შედის საბაზისო აქტივის შესყიდვის შეფასებაში.

მოკლევადიანი იჯარები და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარა - კომპანია იყენებს სტანდარტის მიერ დაშვებულ გამონაკლისებს იმ საიჯარო ხელშეკრულებებთან დაკავშირებით, რომელთა ვადა მაქსიმუმ 12 თვეა და რომელთა საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს. მოკლევადიანი იჯარები და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარაზე საიჯარო გადასახადების აღიარება ხდება ხარჯად წრფივი მეთოდით იჯარის ვადის განმავლობაში.

**წარდგენა** - კომპანია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სხვა აქტივებისაგან განცალკევებით წარადგენს გამოყენების უფლების სახით არსებული აქტივს და საიჯარო ვალდებულებას სხვა ვალდებულებებისაგან განცალკევებით.

მოგება/ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში კომპანია განცალკევებით წარადგენს საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯს და გამოყენების უფლების სახით არსებული აქტივის ცვეთის ხარჯს. საიდანაც საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი ფინანსური დანახარჯების ერთ ერთი კომპონენტია, რომლის წარდგენა განცალკევებით მოითხოვება მოგება/ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, ბასს 1-ის - „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“ – 82 (ბ) პუნქტის თანახმად.

**4.8 ძირითადი საშუალებები**

ძირითადი საშუალებების ერთეულების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ცვეთის დარიცხვა ხდება იმგვარად, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების განაწილება მოხდეს აქტივის მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით საფუძველზე. ძირითადი საშუალებებისთვის კომპანიას განსაზღვრული აქვს შემდეგი ცვეთის ნორმები:

<b>ჯგუფი</b>	<b>ცვეთის ნორმა</b>
კომპიუტერული ტექნიკა	20%
სატრანსპორტო საშუალებები	20%
ავეჯი და მოწყობილობები	20%
დანარჩენი ძირ./საშუალებები	20%
იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობა	15%

თუ არსებობს რაიმე მინიშნება, რომ ცვეთის განაკვეთებში, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადაში ან ნარჩენ ღირებულებაში მოხდა რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება, მოხდება აქტივის ცვეთის გადახედვა და კორექტირება, რათა ასახოს მიმდინარე შეფასებები აქტივის მოსალოდნელ გამოყენებასთან დაკავშირებით. ძირითადი საშუალებების მიმდინარე მომსახურების ხარჯების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მათი გაწვევისთანავე.

#### 4 ძირითადი საარციზო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

##### 4.9 კაპიტალი, მოგება და დივიდენდები

კომპანიის საწესდებო კაპიტალი იქმნება პარტნიორთა შენატანებით. დივიდენდების გამოცხადება ხდება წლიური შედეგების მიხედვით და გაიცემა გაუნაწილებელი მოგებიდან.

##### 4.10 შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

კომპანიის საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დარიცხვის მეთოდებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შესაბამისად. 2018 წლის 1 იანვრიდან კომპანია გამოთვლის საპროცენტო შემოსავალს ფინანსურ აქტივებზე, რომლებიც ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, გარდა გაუფასურებული საკრედიტო აქტივებისა, საერთო საბალანსო ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

როდესაც ფინანსური აქტივი უფასურდება კომპანია გამოთვლის საპროცენტო შემოსავალს ფინანსური აქტივის წმინდა ამორტიზებულ ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ ფინანსური აქტივები გამოსწორდა და აღარ არის გაუფასურებული, მაშინ კომპანია უბრუნდება საპროცენტო შემოსავლის გამოთვლას სრული ღირებულების საფუძველზე. სხვა შემოსავალი და ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

##### 4.11 პერსონალის ხარჯი

ხელფასები, სარგოები, ანაზღაურებადი წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულება, ბონუსები დაირიცხება იმ წელს, რომელ წელსაც გაწეული იქნა შესაბამისი მომსახურებები კომპანიის თანამშრომლების მიერ.

##### 4.12 საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯების აღიარება

საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში თუ ის იწვევს მომავლი ეკონომიური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დაუყონებლივ, თუ ვერ მოხდება მისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება, ან თუ ეკონომიკური სარგებლი არ აკმაყოფილებს ან შეწყვიტა აქტივად აღიარების მოთხოვნის დაკმაყოფილება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

##### 4.13 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია კანონმდებლობასთან შესაბამისად, რომელიც მოქმედებს ან ამოქმედდა პერიოდის ბოლოს საქართველოში. მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებს და ასახულია მოგება ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი აისახებიან უშუალოდ სრული შემოსავლების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, ვინაიდან ისინი დაკავშირებული არიან გარიგებებთან, რომლებიც, იგივე ან სხვა პერიოდით, ასევე ასახული არიან უშუალოდ სრული შემოსავლების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

მიმდინარე გადასახადი წარმოადგენს იმ გადასახდელ თანხას, რომლის გადახდა ან დაბრუნება უნდა მოხდეს საგადასახადო ორგანოებთან მიმდინარე და გასული პერიოდების განმავლობაში დასაბეგრ მოგებასა თუ ზარალთან დაკავშირებით. დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეყრდნობა შეფასებებს თუ ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია საგადასახადო დეკლარაციის შევსებამდე. გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება საბალანსო ვალდებულების მეთოდის გამოყენებით. აქტივების საგადასახადო (დასაბეგრი) ბაზასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენებ მათ საბალანსო ღირებულებას შორის ყველა დროებით განსხვავებაზე გადავადებული მოგების გადასახადის განსაზღვრა ხდება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიერ ბალანსის თარიღისათვის დადგენილი განაკვეთებით და იმ განაკვეთის გათვალისწინებით, რომელიც ივარაუდება, რომ დადგენილი იქნება მაშინ, როდესაც მოხდება გადავადებული მოგების გადასახადის შესაბამისი აქტივის რეალიზება ან ვალდებულების დაფარვა. გადავადებული მოგების გადასახადის აქტივის აღიარება ხდება იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც მოსალოდნელია, რომ ჯგუფს მომავალში ექნება დასაბეგრი მოგება, რომლის საპირისპიროდ შესაძლებელი იქნება დროებითი სხვაობების გამოყენება.

#### 4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

##### 4.13 მოგების გადასახადი (გაგრძელება)

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (ე.წ. მოგების გადასახადის ესტონური მოდელი), რომელიც ძირითადად დაბეგვრის მომენტი დასაბეგრი მოგების მიღებიდან გადააქვს მოგების განაწილებაზე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წელს, მოქმედებს 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებულ საგადასახადო პერიოდებზე და ეხება ყველა საწარმოს, გარდა საფინანსო დაწესებულებებისა (მაგალითად, ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებსთვისაც კანონი თავდაპირველად ამოქმედდა 2020 წლის 1 იანვრიდან საფინანსო დაწესებულებებისთვის.

2023 წლის 1 იანვარს ძალაში შევიდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის მნიშვნელოვანი ცვლილებები. კონკრეტული ცვლილებები შევიდა საბანკო დაწესებულებების, საკრედიტო გაერთიანებების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, სესხის გამცემი საწარმოების დაბეგვრის რეჟიმში, მათ შორის საპროცენტო შემოსავლის და პოტენციური ზარალის რეზერვების აღრიცხვის სტანდარტების განსაზღვრის ჩათვლით. სხვა მნიშვნელოვანი ცვლილებების თანახმად:

- მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს კომერციული ბანკებისთვის, საკრედიტო გაერთიანებებისთვის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სესხის გამცემი საწარმოებისთვის წარმოადგენს სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ მთლიან შემოსავალსა და საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ დაქვითვებს შორის.
- კომერციული ბანკები, საკრედიტო გაერთიანებები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები სესხებზე დარიცხულ პროცენტს აღიარებენ, როგორც შემოსავალს და სესხით შესაძლო ზარალის რეზერვს დაქვითავენ მთლიანი შემოსავლიდან, ფასს სტანდარტის შესაბამისად.
- მოგების გადასახადის განაკვეთი კომერციული ბანკებისთვის, საკრედიტო გაერთიანებებისთვის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სესხის გამცემი საწარმოებისთვის 20%-ს შეადგენს.
- კომერციული ბანკების, საკრედიტო გაერთიანებების, სადაზღვევო ორგანიზაციების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების და სესხის გამცემი საწარმოების მიერ 2023 წლის და მომდევნო პერიოდების მოგებიდან გაცემული დივიდენდები არ იბეგრება გადახდის წყაროსთან და არ უნდა იყოს შესული დივიდენდების მიმღების მთლიან შემოსავალში.

##### 4.14 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი და ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომელიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

##### 4.15 ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევის, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკურ სარგებლის გასვლა და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები, მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა შესაძლებელია, აისახება განმარტებით შენიშვნებში.

რეზერვის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიის აქვს მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულებები წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და ვალდებულებების მოცულობის მისაღები სიზუსტით შეფასება.

#### 5 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის შესაბამისად მომზადება ხელმძღვანელობისაგან მოითხოვს მოსაზრებების, შესაფასებებისა და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებაზე და აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების სახით ასახულ თანხებზე. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების დასადგენად, კომპანიის ხელმძღვანელობამ სააღრიცხვო პოლიტიკის გატარებისას გამოიყენა თავისი შეფასებები.

##### 5.1 მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების ზარალის შეფასება

ქვემოთ წარმოდგენილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ სააღრიცხვო პოლიტიკით გამოყენებული ძირითადი შეფასებები, რომლებიც ყველაზე დიდ გავლენას ახდენს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაზე:

საპროგნოზო სცენარების დადგენა: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) გაზომვისას კომპანია იყენებს გონივრულ და ფაქტებით გამყარებულ საპროგნოზო ინფორმაციას რომელიც ეფუძნება მოსაზრებებს სხვადასხვა ეკონომიკური ფაქტორის სამომავლო მოქმედებისა და ამ ფაქტორების ურთიერთქმედების შესახებ.

**5 მნიშვნელოვანი საარტიკვლო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)**

**5.1 მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების ზარალის შეფასება**

**დეფოლტის ალბათობა:** დეფოლტის ალბათობა (PD) წარმოადგენს მთავარ მონაცემს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვისას. დეფოლტის ალბათობა არის მანკვნივბელი, რომელიც გვიჩვენებს დეფოლტის მოხდენის ალბათობას კონკრეტულ პერიოდში, რომლის გაანგარიშებისას გამოიყენება ისტორიული მონაცემები და სამომავლო პირობებთან დაკავშირებული დაშვებები და მოლოდინები.

**ზარალი ვალდებულებების შეუსრულების შემთხვევაში:** ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD) არის შესაძლო ზარალის სიდიდე, რომელიც წარმოიშობა დეფოლტის შემთხვევაში, იგი ეფუძნება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფულად ნაკადებს და იმ ნაკადებ შორის სხვაობას, რომლის მიღებასაც ელის კრედიტორი გირაოთი უზრუნველყოფილი სესხებიდან და კრედიტის ერთიანი გაზრდით მიღებული ნაღდი ფულის ნაკადის გათვალისწინებით.

**5.2 უზრუნველყოფის საგნის ღირებულების შეფასება**

კომპანია იყენებს საკუთარ გამოცდილებას უზრუნველყოფის საგნის სამართლიანი ღირებულების შეფასებისათვის. უზრუნველყოფის მოცულობა დამოკიდებულია მსესხებლის საკრედიტო რისკზე.

**5.3 გადასახადები**

საგადასახადო კანონმდებლობის სირთულიდან გამომდინარე ყველა ოპერაციის დაბეგვრის საკითხები საგადასახადო კანონმდებლობით სარწმუნოდ განსაზღვრული არ არის, ამიტომ შეიძლება საგადასახადო შემოწმებისას ყველა დეკლარირებული იმფორმაციის ზუსტად დასაბუთება ვერ მოხერხდეს.

**5.4 სასამართლო დავები**

კომპანია განიხილავს დამდგარ სასამართლო დავებს და აფასებს შესაბამისი რეზერვის შექმნის საკითხს, ითვალისწინებს დავის ხასიათს, პოტენციური ზარალის და შესაბამისად იურისტების რჩევებს.

**6 ფული და ფულადი ეკვივალენტები**

ფული და ფულადი ეკვივალენტები 2025 და 2024 წლების 31 დეკემბრისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31-დეკ-25	31-დეკ-24
ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	5,285	7,983
ფული სალაროში უცხოურ ვალუტაში	7,722	20,306
<b>სულ ნაშთი სალაროში</b>	<b>13,007</b>	<b>28,289</b>
ფული საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	352,813	225,478
ფული საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში	2,331	123,859
<b>სულ ნაშთი საბანკო ანგარიშებზე</b>	<b>355,144</b>	<b>349,337</b>
<b>სულ ფული და ფულადი ეკვივალენტები</b>	<b>368,151</b>	<b>377,626</b>

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ფულადი სახსრების უმეტესობა განთავსებულია საბანკო ანგარიშებზე. კომპანიას აქვს მოკლევადიანი დეპოზიტები, რომლებიც განთავსებულია მომსახურე ბანკებში ეროვნულ ვალუტაში:

31 დეკემბერი 2025 წელი	დეპოზიტის თანხა	საპროცენტო განაკვეთი	განთავსების თარიღი	მოქმედების ვადა
სს „ლიბერთი ბანკი“	150,025	11.30%	7/16/2025	1/16/2026
სს „ლიბერთი ბანკი“	100,000	11.30%	7/30/2025	1/30/2026
სს „ლიბერთი ბანკი“	100,000	11.30%	8/13/2025	2/13/2026
<b>სულ დეპოზიტები</b>	<b>350,025</b>			

31 დეკემბერი 2024 წელი	დეპოზიტის თანხა	საპროცენტო განაკვეთი	განთავსების თარიღი	მოქმედების ვადა
სს „ლიბერთი ბანკი“	65,000	11.30%	30.07.2024	30.01.2025
სს „ლიბერთი ბანკი“	10,000	11.30%	09.08.2024	09.02.2025
<b>სულ დეპოზიტები</b>	<b>75,000</b>			

შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გლობალ კრედიტი"  
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები  
 2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
 თანხები მოცემულია ლარში

7 გაცემული სესხები

გაცემული სესხები 2025 და 2024 წლების 31 დეკემბრისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31-დეკ-25	31-დეკ-24
ძირი	2,583,392	2,474,321
პროცენტი	35,934	26,685
<b>სულ კლიენტებზე გაცემული სესხები</b>	<b>2,619,326</b>	<b>2,501,006</b>
მინუს გაუფასურების რეზერვი	(263,454)	(322,148)
<b>სულ კლიენტებზე გაცემული სესხები</b>	<b>2,355,872</b>	<b>2,178,858</b>

2025 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით პორტფელის განაწილება გაცემული სესხების სახეობების მიხედვით და შესაბამისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECL) წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3	გაცემული სესხები სულ
უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები	1,206,033	276,582	423,097	1,905,711
ძვირფასი ლითონებით და სხვა	214,170	137,354	-	351,524
არაუზრუნველყოფილი სესხები	308,221	12,991	40,879	362,091
<b>სულ კლიენტებზე გაცემული სესხები</b>	<b>1,728,424</b>	<b>426,927</b>	<b>463,976</b>	<b>2,619,326</b>

	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3	მთლიანი (ECL)
უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები	(4,182)	(18,541)	(206,763)	(229,486)
არაუზრუნველყოფილი სესხები	(373)	-	(33,595)	(33,968)
<b>სულ (ECL)</b>	<b>(4,555)</b>	<b>(18,541)</b>	<b>(240,358)</b>	<b>(263,454)</b>
<b>სულ კლიენტებზე გაცემული სესხები, წმინდა</b>	<b>1,723,869</b>	<b>408,386</b>	<b>223,618</b>	<b>2,355,872</b>

2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით პორტფელის განაწილება გაცემული სესხების სახეობების მიხედვით და შესაბამისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECL) წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3	გაცემული სესხები სულ
უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები	853,941	464,758	442,140	1,760,839
ძვირფასი ლითონებით და სხვა	192,824	168,417	-	361,241
არაუზრუნველყოფილი სესხები	287,120	18,391	73,415	378,926
<b>სულ კლიენტებზე გაცემული სესხები</b>	<b>1,333,884</b>	<b>651,566</b>	<b>515,555</b>	<b>2,501,006</b>

	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3	მთლიანი (ECL)
უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები	(7,109)	(52,414)	(217,754)	(277,276)
არაუზრუნველყოფილი სესხები	(220)	-	(44,651)	(44,871)
<b>სულ (ECL)</b>	<b>(7,329)</b>	<b>(52,414)</b>	<b>(262,405)</b>	<b>(322,148)</b>
<b>სულ კლიენტებზე გაცემული სესხები, წმინდა</b>	<b>1,326,555</b>	<b>599,153</b>	<b>253,150</b>	<b>2,178,858</b>

შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გლობალ კრედიტი"  
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები  
 2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
 თანხები მოცემულია ლარში

7 გაცემული სესხები (გაგრძელება)

ინფორმაცია კლიენტებზე გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხის შესახებ შიდა საკრედიტო რისკის კატეგორიების მიხედვით 2025 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები	მთლიანი გაცემული სესხები	ECL	წმინდა გაცემული სესხები	ECL %
მიმდინარე და არაგაუფასურებული	1,138,629	(3,453)	1,135,176	0%
1-30 დღის ვადაგადაცილება	67,404	(729)	66,675	1%
30-60 დღის ვადაგადაცილება	-	-	-	0%
60-90 დღის ვადაგადაცილება	-	-	-	0%
90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	423,097	(206,763)	216,334	49%
რესტრუქტურირებული სესხი	276,582	(18,541)	258,040	7%
<b>სულ უძრ.ქონებით უზრუნველყოფილი სესხები</b>	<b>1,905,711</b>	<b>(229,486)</b>	<b>1,676,225</b>	<b>12%</b>

ძვირფასი ლითონებით და სხვა უზრუნველყოფით სესხები	მთლიანი გაცემული სესხები	ECL	წმინდა გაცემული სესხები	ECL %
მიმდინარე და არაგაუფასურებული	214,170	-	214,170	0%
რესტრუქტურირებული სესხი	137,354	-	168,417	0%
<b>სესხები</b>	<b>351,524</b>	<b>-</b>	<b>382,587</b>	<b>0%</b>

არაუზრუნველყოფილი სესხი	მთლიანი გაცემული სესხები	ECL	წმინდა გაცემული სესხები	ECL %
მიმდინარე და არაგაუფასურებული	308,221	(373)	269,956	0%
90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	40,879	(33,595)	28,764	82%
რესტრუქტურირებული სესხი	12,991	-	18,391	0%
<b>სულ არაუზრუნველყოფილი სესხი</b>	<b>362,091</b>	<b>(33,968)</b>	<b>317,111</b>	<b>9%</b>

**სულ კლიენტებზე გაცემული სესხები, წმინდა 2,619,326 (263,454) 2,375,923 10%**

ინფორმაცია კლიენტებზე გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხის შესახებ შიდა საკრედიტო რისკის კატეგორიების მიხედვით 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები	მთლიანი გაცემული სესხები	ECL	წმინდა გაცემული სესხები	ECL %
მიმდინარე და არაგაუფასურებული	759,483	(4,546)	754,937	1%
1-30 დღის ვადაგადაცილება	94,458	(2,563)	91,895	3%
30-60 დღის ვადაგადაცილება	127,002	(6,138)	120,864	5%
60-90 დღის ვადაგადაცილება	-	-	-	0%
90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	442,140	(217,754)	224,386	49%
რესტრუქტურირებული სესხი	337,756	(46,276)	291,480	14%
<b>სულ უძრ.ქონებით უზრუნველყოფილი სესხები</b>	<b>1,760,839</b>	<b>(277,276)</b>	<b>1,483,562</b>	<b>16%</b>

შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გლობალ კრედიტი"  
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები  
 2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
 თანხები მოცემულია ლარში

7 გაცემული სესხები (გაგრძელება)

ძვირფასი ლითონებით და სხვა უზრუნველყოფით სესხები	მთლიანი გაცემული სესხები	ECL	წმინდა გაცემული სესხები	ECL %
მიმდინარე და არაგაუფასურებული 1-30 დღის ვადაგადაცილება	192,824	-	192,824	0%
რესტრუქტურირებული სესხი	-	-	-	0%
რესტრუქტურირებული სესხი	168,417	-	168,417	0%
<b>სულ ძვირფასი-ლითონ. და სხვა უზრუნველყოფით სესხები</b>	<b>361,241</b>	<b>-</b>	<b>361,241</b>	<b>0%</b>

არაუზრუნველყოფილი სესხი	მთლიანი გაცემული სესხები	ECL	წმინდა გაცემული სესხები	ECL %
მიმდინარე და არაგაუფასურებული 1-30 დღის ვადაგადაცილება	270,120	(164)	269,956	0%
30-60 დღის ვადაგადაცილება	17,000	(56)	16,944	0%
60-90 დღის ვადაგადაცილება	-	-	-	0%
90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	-	-	-	0%
90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	73,415	(44,651)	28,764	61%
რესტრუქტურირებული სესხი	18,391	-	18,391	0%
<b>სულ არაუზრუნველყოფილი სესხი</b>	<b>378,926</b>	<b>(44,871)</b>	<b>334,055</b>	<b>12%</b>
<b>სულ კლიენტებზე გაცემული სესხები, წმინდა</b>	<b>2,501,006</b>	<b>(322,148)</b>	<b>2,178,858</b>	<b>13%</b>

გაცემული სესხებში ცვლილება 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ეტაპი			სულ
	1	2	3	
	12-თვიანი (ECL)	სრული (ECL) არასაკრედიტო რისკით გაუფასურებული	სრული (ECL) საკრედიტო რისკით გაუფასურებული	
<b>ნაშთი 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>1,658,048</b>	<b>697,685</b>	<b>145,273</b>	<b>2,501,006</b>
ახალი სესხის გაცემა	921,940	-	-	921,940
გადატანა პირველ ეტაპზე	72,612	(72,612)	-	-
გადატანა მეორე ეტაპზე	(10,052)	10,052	-	-
გადატანა მესამე ეტაპზე	(60,954)	(3,761)	64,716	-
დაფარული სესხები	(738,641)	(82,275)	19,616	(801,299)
სხვა ნეტო ცვლილება	-	-	(2,319)	(2,319)
<b>სულ კლიენტებზე გაცემული სესხები</b>	<b>1,842,953</b>	<b>549,088</b>	<b>227,285</b>	<b>2,619,326</b>

გაუფასურების რეზერვის ცვლილება 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ეტაპი			სულ
	1	2	3	
	12-თვიანი (ECL)	სრული (ECL) არასაკრედიტო რისკით გაუფასურებული	სრული (ECL) საკრედიტო რისკით გაუფასურებული	
<b>ნაშთი 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>41,000</b>	<b>(15,094)</b>	<b>(348,054)</b>	<b>(322,148)</b>
ახალი სესხის გაცემა	1,212	-	-	1,212
გადატანა პირველ ეტაპზე	127	(127)	-	-
გადატანა მეორე ეტაპზე	(294)	294	-	-
გადატანა მესამე ეტაპზე	(31,497)	(1,929)	33,426	-
დაფარული სესხები	(1,189)	(6,284)	(19,041)	(26,515)
სხვა ნეტო ცვლილება	17,685	52,728	13,585	83,998
<b>სულ კლიენტებზე გაცემული სესხები</b>	<b>27,044</b>	<b>29,587</b>	<b>(320,085)</b>	<b>(263,454)</b>

შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გლობალ კრედიტი"  
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები  
 2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
 თანხები მოცემულია ლარში

7 გაცემული სესხები (გაგრძელება)

გაცემული სესხებში ცვლილება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3	სულ
	12-თვიანი (ECL)	სრული (ECL) არასაკრედიტო რისკით გაუფასურებული	სრული (ECL) საკრედიტო რისკით გაუფასურებული	
	<b>ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>1,919,929</b>	<b>502,925</b>	
ახალი სესხის გაცემა	577,350	-	-	<b>577,350</b>
გადატანა პირველ ეტაპზე	662,613	(3,100)	(659,513)	-
გადატანა მეორე ეტაპზე	(329,270)	695,877	(366,607)	-
გადატანა მესამე ეტაპზე	(5,200)	-	5,200	-
დაფარული სესხები	(1,167,374)	(399,673)	(63,308)	<b>(1,630,355)</b>
სხვა ნეტო ცვლილება	-	(98,345)	512,183	<b>413,838</b>
<b>სულ კლიენტებზე გაცემული სესხები</b>	<b>1,658,048</b>	<b>697,685</b>	<b>145,273</b>	<b>2,501,006</b>

გაუფასურების რეზერვის ცვლილება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3	სულ
	12-თვიანი (ECL)	სრული (ECL) არასაკრედიტო რისკით გაუფასურებული	სრული (ECL) საკრედიტო რისკით გაუფასურებული	
	<b>ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>(22,634)</b>	<b>(36,925)</b>	
ახალი სესხის გაცემა	824	-	-	<b>824</b>
გადატანა პირველ ეტაპზე	-	-	-	-
გადატანა მეორე ეტაპზე	17,775	(29,825)	12,050	-
გადატანა მესამე ეტაპზე	2,051	-	(2,051)	-
დაფარული სესხები	42,985	51,656	93,090	<b>187,731</b>
სხვა ნეტო ცვლილება	-	-	-	-
<b>სულ კლიენტებზე გაცემული სესხები</b>	<b>41,000</b>	<b>(15,094)</b>	<b>(348,054)</b>	<b>(322,148)</b>

გაცემული სესხების გაუფასურების პოლიტიკის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია შენიშვნა 19- შ (რისკების მართვა).

შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გლობალ კრედიტი"  
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები  
 2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
 თანხები მოცემულია ლარში

**8 იჯარა**

კომპანია საქმიანობას ანხორციელებს საოფისე ფართში, რომელიც არის ნაქირავები დაკავშირებული მხარისგან და გაფორმებულია საიჯარო ხელშეკრულება ეროვნულ ვალუტაში. იჯარა ვადა არის 5 წელი. ქვემოთ ცხრილებში მოცემულია 2025 და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით გამოყენების უფლების სახით აღიარებული აქტივის და საიჯარო ვალდებულების საბალანსო ღირებულება:

აქტივის გამოყენების უფლება	საოფისე ფართი
<b>ნაშთი 31.12.2023</b>	<b>66,589</b>
მოდიფიკაცია	-
დარიცხული ამორტიზაცია	(22,096)
<b>ნაშთი 31.12.2024</b>	<b>44,493</b>
მოდიფიკაცია	-
დარიცხული ამორტიზაცია	(22,095)
<b>ნაშთი 31.12.2025</b>	<b>22,398</b>

საიჯარო ვალდებულება	საოფისე ფართი
<b>ნაშთი 31.12.2023</b>	<b>74,057</b>
საპროცენტო ხარჯი	8,550
საიჯარო გადახდები	(30,000)
<b>ნაშთი 31.12.2024</b>	<b>52,607</b>
საპროცენტო ხარჯი	5,516
საიჯარო გადახდები	(30,000)
<b>ნაშთი 31.12.2025</b>	<b>28,123</b>

**9 გადასახადები**

**გადავადებული მოგების გადასახადი**

2025 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაში მიმდინარე საგადასახადო აქტივი წარმოდგენილია 51,272 ლარის ოდენობით, რაც გამოწვეულია წინასწარ გადახდილი გადასახადებით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებული გადავადებული მოგების გადასახადი 2025 და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31-დეკ-25	31-დეკ-24
გადავადებული საგადასახადო აქტივი	9,980	8,941
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	(3,444)	(8,741)
<b>წმინდა გადავადებული საგადასახადო აქტივი/(ვალდებულება)</b>	<b>6,536</b>	<b>200</b>

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები 2025 და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

გადავადებული მოგების გადასახადი აქტივი	მოგება ან ზარალი
<b>2023 წლის 31 დეკემბერი</b>	<b>8,740</b>
ფ/პ გადასახდელი პროცენტები	-
არამატ. აქტივები	-
ძირითადი საშუალებები	200
<b>2024 წლის 31 დეკემბერი</b>	<b>8,940</b>
ფ/პ გადასახდელი პროცენტები	-
არამატ. აქტივები	-
ძირითადი საშუალებები	1,040
<b>2025 წლის 31 დეკემბერი</b>	<b>9,980</b>

შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გლობალ კრედიტი"  
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები  
 2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
 თანხები მოცემულია ლარში

**9 გადასახადები (გადასახადები)**

გადავადებული მოგების გადასახადი ვალდებულება	მოგება ან ზარალი
<b>2023 წლის 31 დეკემბერი</b>	<b>(13,834)</b>
მისაღები ჯარიმები	-
საგადასახადო ზედმეტობა	5,093
<b>2024 წლის 31 დეკემბერი</b>	<b>(8,741)</b>
მისაღები ჯარიმები	-
საგადასახადო ზედმეტობა	5,297
<b>2025 წლის 31 დეკემბერი</b>	<b>(3,444)</b>
<b>გადავადებული მოგების გადასახადი ნეტო</b>	<b>მოგება ან ზარალი</b>
<b>2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>(5,093)</b>
<b>2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>200</b>
<b>2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>6,536</b>
<b>მოგების გადასახადის ხარჯი</b>	<b>2025      2024</b>
დროებითი სხვაობასთან დაკავშირებული საგადასახადო შემოსავალი/(ხარჯი)	1,043      5,293
<b>მოგების გადასახადის ხარჯი</b>	<b>1,043      5,293</b>

<b>10 სხვა აქტივები</b>	<b>31-დეკ-25</b>	<b>31-დეკ-24</b>
მოთხოვნა დასაკუთრებული ქონების რეალიზაციიდან	58,783	10,360
იპოთეკით დასაკუთრებული უძრავი ქონება	55,900	195
მოთხოვნა დასაკუთრებული ქონების რეალიზაციიდან	17,338	58,783
გადახდილი ავანსები	3,633	7,356
მისაღები ჯარიმები გაცემული სესხებიდან	44	55,900
სხვა აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვი	(58,783)	(58,550)
<b>სულ სხვა აქტივები</b>	<b>76,916</b>	<b>74,044</b>

\*იპოთეკით დასაკუთრებული უძრავი ქონების თვითღირებულება წარმოდგენილია დასაკუთრების მომენტში შეძენისთვის გადახდილი ფულადი სახსრების ღირებულებით.

**11 მიღებული სესხები**

მიღებული სესხები 2025 და 2024 წლების 31 დეკემბრისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	<b>31-დეკ-25</b>	<b>31-დეკ-24</b>
ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხები	215,345	-
ფიზიკური პირებისგან მიღებული სესხები	-	-
<b>მიღებული სესხები</b>	<b>215,345</b>	<b>-</b>
მიღებულ სესხებზე გადასახდელი პროცენტები	4,502	-
<b>სულ მიღებული სესხები</b>	<b>219,848</b>	<b>-</b>

2025 წლის განმავლობაში კომპანიას გააჩნდა 9 სესხი, რომელთაგან 6 სრულად იქნა დაფარული საანგარიშგებო პერიოდში. მიღებულ სესხებზე წლიური საპროცენტო განაკვეთი მერყეობდა 12.5%-დან 14%-მდე, ხოლო ეფექტური საპროცენტო განაკვეთი - 15.42%-დან 23.86%-მდე. მიღებული სესხების დაფარვის ვადები ძირითადად მოიცავს 2025 წლის აგვისტოდან 2026 წლის თებერვლამდე პერიოდს.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია მიღებული სესხების ბალანსებს შორის მოძრაობა 2024 წლის 31 დეკემბრიდან 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

	<b>2025</b>	<b>2024</b>
მიღებული სესხის ნაშთი 1 იანვრისთვის	-	-
პერიოდის განმავლობაში მიღებული სესხები	436,500	-
დარიცხული პროცენტი	8,894	-
გადახდილი ძირითადი თანხა	(221,155)	-
გადახდილი პროცენტი	(4,391)	-
<b>მიღებული სესხების ნაშთი 31 დეკემბრისთვის</b>	<b>219,848</b>	<b>-</b>

შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გლობალ კრედიტი"  
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები  
 2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
 თანხები მოცემულია ლარში

**11 მიღებული სესხები (გაგრძელება)**

**ფინანსური საქმიანობიდან მოზიდული სახსრების ანალიზი**

ინფორმაცია ფინანსური საქმიანობიდან მოზიდული სახსრების ცვლილებების, მ/შ ფულადი და არაფულადი სახით, წარმოდგენილია ქვემოთ:

	ნაშთი 31.12.2025	ნაშთი 31.12.2024	ცვლილება სულ	ფულადი	არაფულადი
სესხები ფინანსური ინსტიტუტიდან	219,848	-	219,848	219,848	-
სესხები იურიდიული პირიდან	-	-	-	-	-
სესხები ფიზიკური პირებიდან	-	-	-	-	-
<b>სულ მიღებული სესხები</b>	<b>219,848</b>	<b>-</b>	<b>219,848</b>	<b>219,848</b>	<b>-</b>

**12 სხვა ვალდებულებები**

2025 წლის 4 დეკემბრის მდგომარეობით, სხვა ვალდებულებები შეადგენს 50,049 ლარს (2024: 45,179 ლარი). ნაშთი ძირითადად მოიცავს მსესხებლების გადახდებთან დაკავშირებულ ტრანზიტულ ანგარიშებზე აღრიცხულ თანხებს, რომლებიც საანგარიშო თარიღისთვის ექვემდებარებოდა შემდგომ გადანაწილებას შესაბამის ანგარიშებზე.

**13 საკუთარი კაპიტალი**

კაპიტალის შენარჩუნებასთან დაკავშირებით კომპანიის მიზანია უზრუნველყოს დამფუძნებლები ადეკვატური ფინანსური სახსრების მიღებით და დააკმაყოფილოს საკანონმდებლო მოთხოვნები. კომპანიის საკუთარი კაპიტალი წარმოდგენილია საწესდებო (მფლობელთა) კაპიტალის და გაუნაწილებელი მოგების სახით.

საწესდებო (მფლობელთა) კაპიტალმა 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 2,010,000 ლარი, რომელიც ეროვნული ბანკის მინიმალურ ზღვარს (1,000,000 ლარს) აკმაყოფილებს (2024: 2,010,000 ლარი). 2025 და 2024 წლების საანგარიშგებო პერიოდში კომპანიას არ გამოუცხადებია დივიდენდი.

**14 წმინდა საპროცენტო შემოსავალი**

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი 2025 და 2024 წლების 31 დეკემბრისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2025	2024
საპროცენტო შემოსავლები რეზიდენტ ბანკებში განთავსებული სახსრებიდან	34,345	16,481
საპროცენტო შემოსავლები იურ/პირებისათვის მიცემული სესხებიდან	1,524	4,800
საპროცენტო შემოსავლები ფიზ/პირებისათვის მიცემული სესხებიდან	372,529	404,848
<b>სულ საპროცენტო შემოსავალი</b>	<b>408,398</b>	<b>426,129</b>
საპროცენტო ხარჯი ბანკებიდან მიღებულ სესხებზე	(5,516)	(5,095)
საპროცენტო ხარჯი იურიდიულ პირებიდან მიღებულ სესხებზე	-	(6,940)
საპროცენტო ხარჯი ფიზიკურ პირებიდან მიღებულ სესხებზე	-	(3,972)
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებიდან	(8,894)	(8,550)
<b>სულ საპროცენტო ხარჯი</b>	<b>(14,410)</b>	<b>(24,557)</b>
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი</b>	<b>393,988</b>	<b>401,572</b>

**15 საოპერაციო ხარჯები**

საოპერაციო ხარჯები 2025 და 2024 წლების 31 დეკემბრისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2025	2024
პერსონალის ხარჯი	335,185	327,703
მიღებულ სესხებზე გადახდილი საკომისიო	32,798	32,646
გამოყენების უფლებით არსებული აქტივის ამორტიზაციის ხარჯი	22,096	22,096
აუდიტორული მომსახურების ხარჯი	22,420	22,420
ცვეთა და ამორტიზაციის ხარჯი	8,778	8,798
კომუნალური მომსახურების ხარჯი	4,112	4,445
შენობებისა და ფასეულობის დაცვის ხარჯები	2,760	2,760
სხვა საოპერაციო ხარჯი	44,643	38,296
ზარალი დანარჩენი აქტივების შესაძლო დანაკარგების მიხედვით*	233	-
გადახდილი ჯარიმები და საურავები	124	37,130
<b>სულ საოპერაციო ხარჯი</b>	<b>473,149</b>	<b>496,293</b>

\*2024 წლის საანგარიშგებო პერიოდისათვის დანარჩენი აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვის ცვლილება, რომელიც წინა წლებში აღრიცხვობდა საოპერაციო ხარჯებში, დაკლასიფიცირდა და აისახა სხვა შემოსავალში 30,460 ლარის ოდენობით.

**16 რისკების მართვა, პოლიტიკა და პროცედურები**

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია შემდეგ ფინანსურ რისკებთან:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდობის რისკი
- საბაზრო რისკი:
  - საპროცენტო განაკვეთის რისკი
  - სავალუტო რისკი

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები, საიდანაც კომპანიას შეიძლება წარმოექმნას რისკები არის შემდეგი:

	<b>31-დეკ-25</b>	<b>31-დეკ-24</b>
ფული და ფულადი ეკვივალენტები	368,151	377,626
გაცემული სესხები	2,355,872	2,178,858
სხვა აქტივები	76,916	74,044
მიღებული სესხები	219,848	-
<b>სულ:</b>	<b>3,020,787</b>	<b>2,630,528</b>

ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული რისკების მართვის პოლიტიკა მიზნად ისახავს კომპანიის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებას, ანალიზსა და მართვას, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესების, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრის, რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგის გზით.

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია რისკების მართვის სტრუქტურისა და ძირითადი რისკების მართვის ზედამხედველობაზე, რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების განახლებაზე და კომპანიაზე არსებითი გავლენის მქონე რისკების დამტკიცებზე.

**16.1 საკრედიტო რისკი**

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მსესხებლის ან სხვა კონტრაგენტის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს კომპანიის ფინანსურ ზარალს.

კომპანიას შემუშავებული აქვს საკრედიტო რისკების მართვის პოლიტიკა.

საკრედიტო პოლიტიკა განსაზღვრავს შემდეგს:

- სასესხო/საკრედიტო განაცხადის განხილვისა და დამტკიცების პროცედურებს;
- მსესხებლის გადახდისუნარიანობის შეფასების მეთოდოლოგიას;
- უზრუნველყოფის შეფასების მეთოდოლოგიას;
- საკრედიტო დოკუმენტაციის მოთხოვნებს;
- სესხებისა და სხვა საკრედიტო რისკების მუდმივი მონიტორინგის პროცედურებს.

სესხის განაცხადის დაფინანსება/არდაფინანსების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საკრედიტო კომიტეტი და ამტკიცებს კომპანიის ხელმძღვანელი. ხელმძღვანელისათვის დასამტკიცებლად წარდგენილი სესხები ეფუძნება საკრედიტო პოლიტიკით განსაზღვრულ პირობებს. წარმოდგენილი ინფორმაციის სიზუსტესა და სისწორეზე პასუხისმგებელია სესხის ოფიცერი, რომელიც კლიენტის ბიზნესის დეტალურად შესწავლისა და მისი საკრედიტო რისკის პირველადი შეფასების საფუძველზე ავსებს სასესხო განაცხადს. ამისათვის ის იყენებს შეფასების მოდელებს და განცხადებაში წარდგენილი ინფორმაციის შემოწმების პროცედურებს. საბოლოოდ, საკრედიტო კომიტეტის წევრები გარკვეული კრიტერიუმების მიხედვით (კლიენტის საკრედიტო ისტორია; ფინანსური მდგომარეობა; ბიზნესის კონკურენტუნარიანობა და ა.შ.) აფასებენ სესხის განაცხადს.

მონიტორინგის საფუძველზე კლიენტის გადახდისუნარიანობის კონტროლი საშუალებას იძლევა, დროულად იქნეს თავიდან აცილებული ფინანსური ზარალის მიღების რისკი. მონიტორინგს ახორციელებენ სესხის ოფიცრები და მის შედეგებს წარუდგენენ ხელმძღვანელობას. მონიტორინგის შედეგები ყოველთვიურად წარედგინება კომპანიის ხელმძღვანელს, რათა დროულად მოხდეს რეაგირება მოსალოდნელ რისკებზე. მონიტორინგის სისტემა ხელს უწყობს საკრედიტო რისკის დროულ განეიტრალებას. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მატარებელი ფინანსური აქტივები 2025 და 2024 წლების 31 დეკემბრისათვის წარმოდგენილია ქვემოთ:

	<b>31-დეკ-25</b>	<b>31-დეკ-24</b>
ფული და ფულადი ეკვივალენტები	355,144	349,337
გაცემული სესხები	2,355,872	2,178,858
სხვა აქტივები	76,916	74,044
<b>სულ</b>	<b>2,787,932</b>	<b>2,602,239</b>

**16 რისკების მართვა, პოლიტიკა და პროცედურები (გაგრძელება)**

**16.1 საკრედიტო რისკი (გაგრძელება)**

**ფინანსური აქტივების გაუფასურების შეფასება**

ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ მოითხოვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL)-ის დაანგარიშებას კომპანიის მფლობელობაში არსებული ყველა ფინანსური აქტივისათვის, რომელიც აღრიცხულია, როგორც ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ან სამართლიანი ღირებულებით შეფასებული სხვა სრულ შემოსავალში ასახვით.

გაუფასურების ანარიცხები ეფუძნება (ECL)-ს, რომელიც გაანგარიშებულია 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე დაყრდნობით, თუ არ შეიმჩნევა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა ან გაუფასურების სხვა ნიშნები რეზერვების შექმნის თარიღიდან, რა შემთხვევაშიც მოსალოდნელი საკრედიტო რეზერვის ზარალი დაეყრდნობა აქტივის არსებობის განმავლობაში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს. 12 თვიანი საკრედიტო ზარალი არის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, კერძოდ ფინანსური ინსტრუმენტის დეფოლტის შემთხვევების შედეგად მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც შესაძლოა დადგეს საანგარიშო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი და 12-თვიანი საკრედიტო ზარალი გამოითვლება ან ინდივიდუალურად, ან კოლექტიურად, შესაბამისი ფინანსური აქტივების პორტფელის ხასიათიდან გამომდინარე.

**ფინანსური აქტივების გაუფასურების შეფასება**

კომპანიის საკრედიტო პოლიტიკის მიხედვით თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს შეფასდება, თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არის თუ არა გაზრდილი ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი, რისთვისაც გაითვალისწინებს დეფოლტის რისკის ცვლილებას ფინანსური ინსტრუმენტის დარჩენილი ვადის განმავლობაში შესაბამისად კომპანია აჯგუფებს თავის სესხებს 1-ელ, მე-2, მე-3 ეტაპებად და შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებულად:

**პირველი ეტაპი:**

სესხების თავდაპირველი აღიარებისას კომპანია ქმნის რეზერვს თორმეტი თვის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით.

**მეორე ეტაპი:**

როდესაც სესხის წარმოშობის შედეგად საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, კომპანია ქმნის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს. მეორე ეტაპის სესხები ასევე მოიცავს ისეთ სესხებს, რომელთა საკრედიტო რისკი შემცირებულია და სესხი რეკლასიფიცირებულია მესამე ეტაპიდან.

**მესამე ეტაპი:**

სესხები, რომელიც გაუფასურებულად მიიჩნევა. კომპანია ქმნის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს.

**შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული**

შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული არის ისეთი ფინანსური აქტივები, რომლებიც გაუფასურებულია თავდაპირველი აღიარებისას. შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული აქტივები აღიარდება სამართლიანი ღირებულებით. თავდაპირველი აღიარებისას და საპროცენტო შემოსავლის აღიარება შემდეგ ხდება კრედიტის მიხედვით დაკორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება და შემცირება ხდება მხოლოდ აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში მომხდარი ცვლილებებს შესაბამისად. ფასს 9-ის მოთხოვნების შესაბამისად რისკის მართვის პროცესში, საკრედიტო რისკის გამოვლენის დადგენა რთული პროცესია, რომელიც გარკვეული მოდულების გამოყენებას გულისხმობს.

კომპანია ფასს 9-ის მოთხოვნებით საკრედიტო ზარალის (ECL) გასაზომად შემდეგ მოდულებს იყენებს.

- დეფოლტის ალბათობა (PD)
- დეფოლტით გამოწვეული დანაკარგი (LGD)
- დეფოლტის რისკის პიზიცია (EAD)

აღნიშნული პარამეტრები შეფასებულია შიდა სტატისტიკური და ისტორიული მონაცემების გამოყენებით და გამიზნულია სამომავლო პროგნოზის ასახვისათვის.

**16 რისკების მართვა, პოლიტიკა და პროცედურები (გაგრძელება)**

**16.1 საკრედიტო რისკი (გაგრძელება)**

**მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი ECL შეფასება**

კომპანია მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებს აფასებს ინდივიდუალურად ან ჯგუფურად. ECL ფასდება ინდივიდუალურად ისეთი სესხების მიმართ, რომელმაც განიცადა გაუფასურების ზარალის გამოწვევი მოვლენა, ასეთი მსესხებლებისათვის ანალიზდება სხვადასხვა ინფორმაცია; ფინანსური რისკები, ვადაგადაცილების სტატუსი, რესტრუქტურისაცა, უზრუნველყოფის სამართლიანი ღირებულება.

ინდივიდუალურად შეფასებული სესხებისათვის ფასდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული, კომპანიის მიერ მისაღები ფულადი ნაკადებისა და მოსალოდნელი ფულადი ნაკადების სხვაობის მიმდინარე ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. მოსალოდნელი თანხების გათვლაში ჩაირთვება უზრუნველყოფის რეალიზაციით მიღებული თანხები.

**ECL-ის შეფასება ჯგუფურად**

სესხების ჯგუფურად შეფასებისათვის, კომპანია პორტფელს ყოფს სამ სეგმენტად: უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები, ძვირფასი ლითონებით და სხვა უზრუნველყოფით უზრუნველყოფილი სესხები და არაუზრუნველყოფილი სესხები. თითოეული სეგმენტი კომპანიის მიერ შეფასებული მსგავსი საკრედიტო რისკის შესაბამისად იყოფა 7 ჯგუფად. კომპანიის (ECL)-ის შეფასების მიდგომა ასახულია ქვემოთ მოტანილ ცხრილში:

**ECL-ის შეფასება ჯგუფურად**

საკრედიტო პორტფელის სეგმენტი	ვადაგაც- დღეები	რესტრუქტ. სესხი	ეტაპი
უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები	0	არა	I
	0-30	არა	I
	30-60	არა	II
	60-90	არა	II
	0-90	ღიახ	II
	>90-ზე	ღიახ	III
	>90-ზე	არა	III
ძვირფასი ლითონებით და სხვა უზრუნველყოფით უზრუნველყოფილი სესხები	0	არა	I
	0-30	არა	I
	30-60	არა	II
	60-90	არა	II
	0-90	ღიახ	II
	>90-ზე	ღიახ	III
	>90-ზე	არა	III
არაუზრუნველყოფილი სესხი	0	არა	I
	0-30	არა	I
	30-60	არა	II
	60-90	არა	II
	0-90	ღიახ	II
	>90-ზე	ღიახ	III
	>90-ზე	არა	III

**დეფოლტის განსაზღვრა**

კომპანია დეფოლტს აღიარებს შემდეგ შემთხვევაში:

- მსესხებლის გარდაცვალება;
- გარე ფაქტორები, რომელიც არ ექვემდებარება კონტროლს და რომლის გამოც კლიენტი გადახდის უუნარო ხდება;
- 90 დღეზე ვადა გადაცილებული სესხები. დეფოლტის განსაზღვრა შესაბამისობაშია ფასს 9-ის რეგულაციების მიხედვით 90 დღიანი ვადაგადაცილების პრეზუმციასთან.

**16 რისკების მართვა, პოლიტიკა და პროცედურები (გაგრძელება)**

**16.1 საკრედიტო რისკი (გაგრძელება)**

**საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა**

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, საგრძნობლად გაიზარდა თუ არა ფინანსურ ისტრუქტურებზე საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდეგ კომპანია მხედველობაში იღებს სათანადო და არგუმენტირებულ ხარისხობრივ და რაოდენობრივ ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი ძალისხმევით და ხარჯების გარეშე. ეს დაფუძნებულია წარსულ გამოცდილებაზე და მომავლის პროგნოზისათვის საჭირო ინფორმაციაზე. რომელიც ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი ძალისხმევით და ხარჯების გარეშე. როდესაც აქტივზე ვადაგადაცილება 30 დღეზე მეტია, კომპანია მიიჩნევს, რომ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა და აქტივი ხვდება გაუფასურების მოდელის მე-2 ეტაპზე ანუ დანაკარგის რეზერვი იქმნება მთელი არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით. ასევე აქტივების კატეგორია, რომელიც კომპანიის საკრედიტო პოლიტიკის და საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციის მიხედვით არის „საყურადღებო სესხი“ მიიჩნევა რისკის მნიშვნელოვან ზრდად. რესტრუქტურირებული სესხები, როცა მოდიფიკაცია არ არის დაკავშირებული მატერიალურ ზარალთან ჩაითვლება რისკის მნიშვნელოვან ზრდად და მიეკუთვნება მესამე ეტაპს.

**დეფოლტის ალბათობის კოეფიციენტის (PD) განსაზღვრა**

თითოეული სეგმენტისათვის დეფოლტის ალბათობის კოეფიციენტების გასაზღვრისას კომპანია იყენებს (გასული ორი წლის) ისტორიულ მონაცემებსა და ვადაგადაცილების მონაცემებზე დაყრდნობით დეფოლტის სტატისტიკურ ანალიზს. კომპანია ითვლის გასული ორი წლის ყოველთვიურ ნაშთებს ვადაგადაცილებული ჯგუფების და სესხის ეტაპების მიხედვით, რომლის შედეგადაც მიიღება პროცენტული წილი თითოეული ვადაგადაცილებული ჯგუფისთვის, რაც ასახავს სესხის გადასვლის ალბათობას ერთი ეტაპიდან მეორეში. გასული ორი წლის ყოველთვიური მონაცემებიდან მიიღება საშუალო ყოველთვიური განაკვეთები, რომლებიც შემდეგ გამრავლებულია მატრიცის წესზე, (8 წლის განმავლობაში) ვადაგადაცილებული ერთი ჯგუფიდან მეორეზე სესხის გადასვლის ალბათობის დასადგენად. თითოეული ვადაგადაცილებული ჯგუფისთვის მიღებული დეფოლტის ალბათობის კოეფიციენტები გამოიყენება მოსალოდნელი ზარალის გამოსათვლელად.

**დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში (LGD) განსაზღვრა**

გაუფასურების მოდელის კიდევ ერთი კომპონენტია (LGD). ის გამოიყენება მოსალოდნელი დანაკარგის მოცულობის განსაზღვრისათვის რომელიც შეიძლება წარმოიშვას დეფოლტის შემთხვევაში. ამ მაჩვენებლის გამოსათვლელად კომპანია იყენებს ბოლო ორი წლის განმავლობაში გადეფოლტებული სესხების მაჩვენებელს და ამ სესხებზე დეფოლტის მომენტიდან საანგარიშგებო პერიოდამდე განხორციელებული თანხების შემოდინებებს ყოველ წლიურ ჭრილში. ფულადი ნაკადები დისკონტირდება სეგმენტის საშუალო შეწონილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. დეფოლტის შემთხვევაში ზარალის დაანგარიშება ხდება ცალ-ცალკე თითოეული სეგმენტისათვის.

**დეფოლტის რისკის პოზიციის (EAD) განსაზღვრა**

(EAD) წარმოადგენს პოტენციური დეფოლტის მომენტში ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე საკრედიტო რისკის ზეგავლენის შეფასებას. ეს წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ ფულად ნაკადს დეფოლტის მომენტში. დეფოლტში მყოფი რისკის პოზიცია ყველა სეგმენტისათვის ცალ-ცალკე დაანგარიშდება, მიმდინარე სესხის თანხიდან მოსალოდნელი ცვლილებების გათვალისწინებით. მოსალოდნელ ცვლილებებში იგულისხმება გრაფიკით გათვალისწინებული ძირის დაფარვები ვადაგადაცილების მომენტამდე, %-ის დარიცხვები ვადაგადაცილების მომენტიდან დეფოლტამდე. დეფოლტში მყოფი რისკის პოზიციის დათვლა ხდება სეგმენტის საშუალო საკონტრაქტო ვადიანობის განმავლობაში, თითოეულ წელს ცალ-ცალკე.

**საპროგნოზო ინფორმაციის გამოყენება**

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების გამოთვლებში კომპანია იყენებს საპროგნოზო ინფორმაციას. ეს ინფორმაცია მოიცავს ეკონომიური ინდიკატორების პროგნოზს, რომელსაც ეროვნული ბანკი აქვეყნებს პერიოდულად. დეფოლტის ალბათობის განსაზღვრის საფუძველს ქმნის სამი ეკონომიკური სცენარი (საბაზისო, პესიმისტური, ოპტიმისტური). თითოეული მათგანი დეფოლტის განსხვავებულ ალბათობას იძლევა. ამ სცენარების შეწონვა ქმნის დეფოლტის საშუალო შეწონილი ალბათობის საფუძველს, რომელიც მოსალოდნელი საკრედიტო დანახარჯების გამოთვლაში გამოიყენება. კომპანია დეფოლტის ალბათობის გამოთვლისათვის იყენებს საქართველოს მშპ-ის ზრდის კოეფიციენტის და ინფლაციის განაკვეთის მაკროეკონომიკურ ინდიკატორებს, თუ მშპ-სთან და ინფლაციასთან კორელაცია 0.7 მეტი ან -0.7-ზე ნაკლებია. ფასს 9-ის „ფინანსური ინსტრუქტები“ მიზნებისათვის საქართველოს ეროვნული ბანკი აქვეყნებს მაკროეკონომიკური ინდიკატორების პროგნოზებს სხვადასხვა სცენარით და მათ წონას გამოთვლებში. საბაზისო სცენარი ყველაზე სავარაუდო სცენარია და მისი წონა გამოთვლებში 50%-ია. პესიმისტური და ოპტიმისტური სცენარების წონა 25%-ია. კომპანია იყენებს ვასიჩევის მოდელს საპროგნოზო ინფორმაციის კორექტირებისას. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მაკროეკონომიკურ ფაქტორებსა და დეფოლტის კოეფიციენტებს შორის ძლიერი კორელაცია არ დაფიქსირდა და შესაბამისად საკრედიტო ზარალის გაანგარიშებისას მისი გამოყენება არ მომხდარა.

**16 რისკების მართვა, პოლიტიკა და პროცედურები (გაგრძელება)**

**16.2 საპროცენტო რისკი**

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საპროცენტო განაკვეთებში ცვლილებებიდან, რომელიც ზეგავლენას მოახდენს ფულად ნაკადებზე ან ფინანსური აქტივების რეალურ ღირებულებებზე. კომპანიის საოპერაციო შემოსავალი და ფულადი ნაკადები არ არის დამოკიდებული საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებზე, ვინაიდან მიუხედავად იმისა რომ კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი ოდენობის საპროცენტო განაკვეთის მატარებელი აქტივები და ვალდებულებები, ყველა ამ ინსტრუმენტს აქვს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთები, რომელიც არ არის დამოკიდებული ბაზარზე არსებულ საპროცენტო განაკვეთების მერყეობაზე.

**16.3 სავალუტო რისკი**

სავალუტო რისკი არის სავალუტო კურსის მერყეობის რისკი, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური მდგომარეობაზე და მომგებიანობაზე. სავალუტო რისკი წარმოიშობა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივებისა და ვალდებულებებისგან.

კომპანიას გააჩნია უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები - კომპანიის მიერ სესხის მიღება ძირითადად ხდება ეროვნულ ვალუტაში, თუმცა რიგ შემთხვევაში გაცემულია ასევე დოლარშიც. აქედან გამომდინარე, სავალუტო კურსის ცვლილება შესაძლოა მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს კომპანიისთვის.

ქვემოთ მოცემულია კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ცხრილი ვალუტების მიხედვით (შესაბამისი ეკვივალენტებით ლარში). ინვესტიციები არაფულად აქტივებში არ წარმოშობს სავალუტო რისკებს.

2025 წლის 31 დეკემბრისათვის	ევრო	დოლარი	რუბლი	ლირა	სულ
<b>ფინანსური აქტივები</b>					
ფული და ფულის ეკვივალენტები	3,778	3,778	2,469	28	10,053
გაცემული სესხები	-	-	-	-	-
<b>სულ ფინანსური აქტივები</b>	<b>3,778</b>	<b>3,778</b>	<b>2,469</b>	<b>28</b>	<b>10,053</b>
<b>ფინანსური ვალდებულებები</b>					
მიღებული სესხები	-	-	-	-	-
<b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>
<b>წმინდა სავალუტო პოზიცია</b>	<b>3,778</b>	<b>3,778</b>	<b>2,469</b>	<b>28</b>	<b>10,053</b>

2024 წლის 31 დეკემბრისათვის	ევრო	დოლარი	რუბლი	ლირა	სულ
<b>ფინანსური აქტივები</b>					
ფული და ფულის ეკვივალენტები	12,940	130,762	445	18	144,165
გაცემული სესხები	-	95,179	-	-	95,179
<b>სულ ფინანსური აქტივები</b>	<b>12,940</b>	<b>225,941</b>	<b>445</b>	<b>18</b>	<b>239,344</b>
<b>ფინანსური ვალდებულებები</b>					
მიღებული სესხები	-	-	-	-	-
<b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>
<b>წმინდა სავალუტო პოზიცია</b>	<b>12,940</b>	<b>225,941</b>	<b>445</b>	<b>18</b>	<b>239,344</b>

**16.4 ლიკვიდურობის რისკი**

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს დროულად მის მიმართ არსებული ვალდებულებების დაფარვას. ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის შეუსაბამობისას.

მენეჯმენტი ასეთი ტიპის რისკების მართვას ახდენს ვადიანობის ანალიზით, განსაზღვრავს რა კომპანიის სტრატეგიას მომაკვლი ფინანსური პერიოდისათვის. იმისათვის, რომ მართოს ლიკვიდურობის რისკი, კომპანია ახდენს მოსალოდნელი მომაკვლი ფულადი ნაკადების მუდმივ მონიტორინგს, რაც აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილია.

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს ვადიანობის ანალიზს კომპანიის არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე დარჩენილი საკონტრაქტო ვადების მიხედვით. ქვემოთ წარმოდგენილი მონაცემები ეფუძნება კომპანიის ხელმძღვანელობის მიმართ მიწოდებულ ინფორმაციას.

**16 რისკების მართვა, პოლიტიკა და პროცედურები (გაგრძელება)**

**16.4 ლიკვიდურობის რისკი (გაგრძელება)**

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს ვადიანობის ანალიზს კომპანიის არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე დარჩენილი საკონტრაქტო ვადების მიხედვით. ქვემოთ წარმოდგენილი მონაცემები ეფუძნება კომპანიის ხელმძღვანელობის მიმართ მიწოდებულ ინფორმაციას.

2025 წლის 31 დეკემბრისათვის	1 წელზე ნაკლები ვადის მქონე	1-დან 5 წლამდე ვადის მქონე	5 წელზე მეტი ვადის მქონე	სულ
<b>ფინანსური აქტივები</b>				
ფული და ფულის ეკვივალენტები	368,151	-	-	<b>368,151</b>
გაცემული სესხები	473,513	943,051	939,308	<b>2,355,872</b>
<b>სულ ფინანსური აქტივები</b>	<b>841,664</b>	<b>943,051</b>	<b>939,308</b>	<b>2,724,023</b>
<b>ფინანსური ვალდებულებები</b>				
მიღებული სესხები	219,848	-	-	<b>219,848</b>
საიჯარო ვალდებულება	28,123	-	-	<b>28,123</b>
სხვა ვალდებულებები	50,049	-	-	<b>50,049</b>
<b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>298,020</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>298,020</b>
<b>ლიკვიდურობის სხვაობა</b>	<b>543,644</b>	<b>943,051</b>	<b>939,308</b>	<b>2,426,003</b>
<b>წმინდა ლიკვიდურობის სხვაობა</b>	<b>543,644</b>	<b>1,486,695</b>	<b>2,426,003</b>	

2024 წლის 31 დეკემბრისათვის	1 წელზე ნაკლები ვადის მქონე	1-დან 5 წლამდე ვადის მქონე	5 წელზე მეტი ვადის მქონე	სულ
<b>ფინანსური აქტივები</b>				
ფული და ფულის ეკვივალენტები	377,626	-	-	<b>377,626</b>
გაცემული სესხები	911,676	871,448	395,734	<b>2,178,858</b>
<b>სულ ფინანსური აქტივები</b>	<b>1,289,302</b>	<b>871,448</b>	<b>395,734</b>	<b>2,556,484</b>
<b>ფინანსური ვალდებულებები</b>				
საიჯარო ვალდებულება	21,693	30,914	-	<b>52,607</b>
სხვა ვალდებულებები	45,179	-	-	<b>45,179</b>
<b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>66,872</b>	<b>30,914</b>	<b>-</b>	<b>97,786</b>
<b>ლიკვიდურობის სხვაობა</b>	<b>1,222,430</b>	<b>840,534</b>	<b>395,734</b>	<b>2,458,698</b>
<b>წმინდა ლიკვიდურობის სხვაობა</b>	<b>1,222,430</b>	<b>2,062,964</b>	<b>2,458,698</b>	

**17 კაპიტალის მართვა**

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილია მიკროსაფინანსო ორგანიზაციების კაპიტალის მინიმალური სიდიდის მოთხოვნები. ამ მოთხოვნების მიზანია განმტკიცდეს საკმარისი გადახდისუნარიანობის ზღვრები. კომპანიის მიზანია შეასრულოს ეს მოთხოვნები და შესაბამისად, იგი აკმაყოფილებს მინიმალური საწესდებო კაპიტალის მოთხოვნებს, რომელიც განსაზღვრულია არანაკლებ 1,000,000 ლარისა. კაპიტალის მართვისას კომპანია მიზნად ისახავს, რომ დაიცვას კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი, რათა მან გააგრძელოს პარტნიორთა შემოსავლით უზრუნველყოფა, ასევე უზრუნველყოს ადეკვატური შემოსავალი რისკის დონის შესაბამისი მომსახურების ფასების დაწესებით. კომპანია კაპიტალის სიდიდეს განსაზღვრავს რისკის პროპორციულად. კომპანია ახორციელებს კაპიტალის სტრუქტურის მართვას და მასში კორექტირებები შეაქვს ეკონომიკურ პირობებსა და შესაბამის აქტივებთან დაკავშირებულ რისკის მახასიათებლებში მომხდარი ცვლილებების გათვალისწინებით. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან კორექტირების მიზნით, კომპანიამ შეიძლება შეცვალოს მესაკუთრეებისთვის გადასახდელი დივიდენდების სიდიდე, დაუბრუნოს მესაკუთრეებს კაპიტალი, გაზარდოს კაპიტალი ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად.

**18 დაკავშირებული მხარეები**

ზოგადად, მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებული მხარეების ტრანზაქციების და ნაშთების დეტალები საანგარიშგებო პერიოდისათვის მოცემულია ქვემოთ:

ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2025	საიჯარო ვალდებულებები	აქტივის გამოყენების უფლება	გაცემული სესხი
სხვა დაკავშირებული მხარეები	28,123	22,398	-
დამფუძნებლები	-	-	17,165
<b>სულ ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2025</b>	<b>28,123</b>	<b>22,398</b>	<b>17,165</b>

ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2024	საიჯარო ვალდებულებები	აქტივის გამოყენების უფლება	გაცემული სესხი
სხვა დაკავშირებული მხარეები	52,607	44,493	-
<b>სულ ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2024</b>	<b>52,607</b>	<b>44,493</b>	<b>-</b>

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან 2025 წელი	გადახდილი საიჯარო ვალდებულება	გადახდილი პროცენტი	საპროცენტო ხარჯი	ხელფასის ხარჯი
მეწილეები	-	-	-	216,335
სხვა დაკავშირებული მხარეები	30,000	5,516	5,516	-

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან 2024 წელი	გადახდილი საიჯარო ვალდებულება	გადახდილი პროცენტი/საპროცენტო ხარჯი	ხელფასის ხარჯი	სხვა შემოსავალი
მეწილეები	-	1,111	174,630	-
უმალესი ხელმძღვანელობის წევრები	-	-	27,908	1,543
სხვა დაკავშირებული მხარეები	30,000	12,522	-	812

**19 ფინანსური აქტივები და ვალდებულებები - რეალური ღირებულების შეფასება**

**19.1 რეალური ღირებულებები და სააღრიცხვო კლასიფიკაციები**

რეალური ღირებულების გამოთვლის მიზანია განისაზღვროს ის ღირებულება, რაც შეფასების თარიღისათვის შეიძლება მიღებული იქნას აქტივის გაყიდვიდან ან გადახდილი იქნას ვალდებულების დასაფარად ჩვეულებრივი ტრანზაქციის პირობებში ბაზრის მონაწილეთა შორის. მიუხედავად ამ მცდელობისა, რომ რეალურმა ღირებულებამ ასახოს ასეთი თანხა (რაც წინა წინადადებაშია ახსნილი), საოპერაციო გარემოსათვის დამახასიათებელი ჩვეულებრივი განუსაზღვრელობების და შეფასებებში შესაძლო სუბიექტური ფაქტორების არსებობის გამო, არ უნდა ვიგულისხმოთ, რომ რეალური ღირებულება ზუსტად ასახავს იმ თანხას რაც შეიძლება აქტივის დაუყოვნებელი გაყიდვის შემთხვევაში იქნას მიღებული ან ვალდებულების დაუყოვნებელი დაფარვისთვის შეიძლება იყოს საჭირო.

**19 ფინანსური აქტივები და ვალდებულებები - რეალური ღირებულების შეფასება (გაგრძელება)**

**19.1 რეალური ღირებულებები და სააღრიცხვო კლასიფიკაციები**

ყველა ფინანსური ინსტრუმენტის შეფასებული რეალური ღირებულება დაახლოებით მათი საბალანსო ღირებულების ტოლია. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების რეალური ღირებულება გამოითვლება ფულადი ნაკადების დისკონტირების მეთოდით, რომელიც ეფუძნება მომავალ ფულად ნაკადებს და მსგავსი ინსტრუმენტების დისკონტირების კოეფიციენტს საანგარიშო თარიღისათვის. ჯგუფი იყენებს შეფასების ფართოდ აღიარებულ მოდელს ჩვეულებრივი და უფრო მარტივი ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების განსაზღვრად, რომლებიც იყენებენ მხოლოდ თვალსაჩინო საბაზრო მონაცემებს და ხელმძღვანელობის მხრიდან მცირედი დაშვებებისა და შეფასების გამოყენება სჭირდებათ.

**19.2 რეალური ღირებულების იერარქია**

ქვემოთ წარმოდგენილი იერარქია აჯგუფებს ფინანსურ ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით წარდგენილი ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გამოყენებულ პირველად მონაცემებს სამი დონის მიხედვით:

დონე 1: იდენტური აქტივებისა და ვალდებულებების კოტირებული ფასები (დაუკორექტირებელი) იმ აქტიურ ბაზრებზე, სადაც კომპანიას აქვს წვდომა ბალანსის თარიღისთვის.

დონე 2: ისეთი პირველადი ინფორმაცია აქტივებსა და ვალდებულებებზე, რომელიც პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია, გარდა იმ კოტირებული ფასებისა, რომლებიც შედის დონე 1-ში.

დონე 3: ისეთი პირველადი ინფორმაცია აქტივებსა და ვალდებულებებზე, რომელიც ღიად ხელმისაწვდომი (დაკვირვებადი) არ არის.

*ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება, რომელიც მუდმივად არ ფასდება სამართლიანი ღირებულებით (თუმცა მოთხოვნილია განმარტებითი შენიშვნები სამართლიანი ღირებულების შესახებ).*

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისთვის, რომლებსაც მოკლევადიანი დაფარვის ვადა აქვთ (3 თვეზე ნაკლები), ნავარაუდევია, რომ მათი საბალანსო ღირებულება მათ სამართლიან ღირებულებას უახლოვდება. ეს დაშვება აგრეთვე ეხება მოთხოვნამდე ანაბრებს და მიმდინარე ანგარიშებს, დაფარვის ვადის გარეშე.

**ფული და ფულის ეკვივალენტები**

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება, რომელიც მათ მიმდინარე სამართლიან ღირებულებასთან არის მიახლოებული.

**სხვა ფინანსური აქტივები და ვალდებულებები**

სხვა ფინანსური აქტივები და ვალდებულებები უმეტესად მოიცავს მოკლევადიან დებიტორულ და კრედიტორულ დავალიანებებს, შესაბამისად საბალანსო ღირებულება მიიჩნევა მათი სამართლიანი ღირებულების გონივრულ შეფასებად.

**კლიენტებზე გაცემული სესხები**

ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება ეფუძნება მომავალში მოსალოდნელი მისაღები საპროცენტო ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომლებიც დისკონტირებულია მსგავსი საკრედიტო რისკისა და დარჩენილი დაფარვის ვადის მქონე ახალი ინსტრუმენტებისთვის დადგენილი საპროცენტო განაკვეთებით. დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია ვალუტაზე, ინსტრუმენტის დაფარვის ვადაზე და კონტრაგენტის საკრედიტო რისკზე.

**ნასესხები სახსრები და გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები**

სუბორდინირებული სესხის და სავალო ფასიანი ქაღალდების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება ზოგადად მიღებული ფასების მოდელის შესაბამისად დისკონტირებული ფულადი ნაკადების ანალიზის საფუძველზე ახალი ინსტრუმენტების მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების გამოყენებით. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ცვლადი განაკვეთით სესხების მიღება შესაძლოა ჩაითვალოს საბაზრო საპროცენტო განაკვეთად.

**საიჯარო ვალდებულება**

საიჯარო ვალდებულების სამართლიანი ღირებულება დაფუძნებულია მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებაზე. დისკონტის განაკვეთი დამოკიდებულია ინსტრუმენტების ვალუტასა და ვადაზე. ამ ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას.

## 20 პოტენციური ვალდებულებები

**საოპერაციო გარემო** - კომპანიის ბიზნეს საქმიანობა წარმოებს საქართველოში. საქართველო ანხორციელებს ეკონომიკურ რეფორმებს და საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნების მიხედვით ავითარებს სამართლებრივ, საგადასახადო და სარეგულაციო ბაზას. ქართული ეკონომიკის მომავალი მდგრადობა ბევრად და მოკიდებული ამ რეფორმებზე და იმაზე, თუ ქვეყნის ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები რამდენად იქნება ეფექტური ეკონომიკური, ფინანსური და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განვითარებისათვის. ჩვეულებრივ საქმიანობის ფარგლებში შესაძლებელია კომპანიის წინააღმდეგ სარჩელი აღიძრას. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ თუ რაიმე სარჩელის გამო კომპანიას დაეკისრება პასუხისმგებლობა, მისი მოცულობა უარყოფითად არ იმოქმედებს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ან სამომავლო საქმიანობის შედეგებზე.

**გადასახადები** - საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა, არსებული რედაქციით ნაწილობრივ ბუნდოვანია და ექვემდებარება სხვადასხვანაირ ინერპრეტაციას, შერჩევით და არათანმიმდევრულ გამოყენებას და შესაძლებელია კომპანიის ისეთი ოპერაციები და საქმიანობა დადგეს მომავალში ნებისმიერ დროს ეჭვქვეშ, რომლებიც წარსულში ეჭვქვეშ არ დამდგარა. ამის გამო კომპანიას შესაბამისი ორგანოების მიერ შეიძლება დაეკისროს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურაჟები.

საგადასახადო ორგანოების მიერ შემოწმებას ექვემდებარება სამი კალენდარული წელი. ზოგ შემთხვევაში საგადასახადო შემოწმებამ შეიძლება უფრო დიდი პერიოდიც მოცვას. 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მოქმედ კანონმდებლობას სათანადოდ განმარტავს და რომ კომპანიას დარიცხული აქვს ყველა სათანადო გადასახადი.

**იურიდიული საკითხები** - 2025 და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არ მომხდარა არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა იურიდიულ საკითხებთან დაკავშირებით, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

**მმართველობის ანგარიშგება** - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის მიხედვით (პუნქტი 7) კომპანიას აქვს ვალდებულება მოამზადოს და სახელმწიფო მარეგულირებ ორგანოში წარადგინოს მმართველობის ანგარიშგება, დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად, არაუგვიანეს საანგარიშგებო პერიოდის მომდევნო წლის 01 ოქტომბრისა. ამ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნების თარიღისთვის, კომპანიას არ აქვს გამოშვებული მმართველობის ანგარიშგება.

## 21 საწარმოს უწყვეტობის განხილვა

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ ჯგუფის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვს კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

## 22 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ კომპანიას სს "საქართველოს ბანკისგან" მიღებული აქვს 220,000 ლარის ღირებულების სასესხო ვალდებულება, ხოლო ბალანსის შემდგომ პერიოდში დაფარული სესხის ძირითადი თანხა შეადგენს 405,345 ლარს.

ბალანსის თარიღის შემდგომ ადგილი არ ჰქონია სხვა ისეთ მოვლენებს, რომლებიც გამოიწვევდა დამატებით შესწორებებს და ცვლილებებს მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

\*\*\*\*\*

## შპს მისო „გლობალკრედიტი“

### მმართველობის ანგარიშგება 2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის საქმიანობის მიმოხილვა

#### კომპანიის საქმიანობა და რეგულაციები

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გლობალ კრედიტი დაფუძნდა 2008 წლის 10 ოქტომბერს. იგი ფუნქციონირებს ქ. ქუთაისში, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. გლობალ კრედიტის საქმიანობის ზედამხედველობას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო, ხოლო მართვას აღმასრულებელი დირექტორი. კომპანიის საქმიანობა რეგულირდება კანონით მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რეგისტრაციას ახორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკი, რომელიც აწესებს სტანდარტებს მისო-ებისათვის და აკონტროლებს მისი დამფუძნებლების საქმიან რეპუტაციას. მისო დადგენილ ვადებში წარადგენს ყველა ტიპის ანგარიშგებას საქართველოს ეროვნულ ბანკში, ასევე რეგულარულად აქვეყნებს სათანადო ინფორმაციას კომპანიის ვებ-გვერდზე. არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, მიკროსაფინანსო ორგანიზაციას არ აქვს უფლება მიიღოს რაიმე ტიპის ანაბარი და ძირითადად ფინანსდება პარტნიორთა შენატანით, საბანკო და ინდივიდუალური სესხებით არსებული რეგულაციის ფარგლებში. ერთ კლიენტზე ან ერთ ჯგუფში გაერთიანებული მსესხებლებისათვის გასაცემის სესხის მაქსიმალური თანხა შეადგენს 200,000.00 (ასი ათასი) ლარს.

გლობალ კრედიტი ახორციელებს კერძო, იურიდიული პირების საბრუნავი და ფიქსირებული აქტივების ფინანსირებას, ასევე გაიცემა სესხები სამომხმარებლო დანიშნულებით. კლიენტების მომსახურება ხდება კომპანიის ოფისში, რომელიც განთავსებულია ქალაქის კომერციულად აქტიურ უბანში. კლიენტები შპს მისო „გლობალ კრედიტი“-ს ძირითადად მიმართავენ პროცედურების სიმარტივის გამო, ასევე კონკურენტებთან შედარებით მცირე საპროცენტო განაკვეთის გათვალისწინებით.

2019 წლიდან კომპანიაში გახორციელდა ეროვნული ბანკის ახალი რეგულაციების შესაბამისი სტანდარტების დანერგვა ფიზიკური და იურიდიული პირების დაკრედიტების თვალსაზრისით. კერძოდ, ხდება მსესხებელის შემოსავლების, გასავლების დოკუმენტური დადასტურება და მათი გადახდისუნარიანობის შესწავლა. აღნიშნული ინფორმაციის კონსოლიდირება ხდება სასახეო განაცხადის ფორმაში და განიხილება საკრედიტო კომიტეტზე.

კომპანიაში დანერგილია თანამედროვე საოპერაციო პროგრამა, რომელიც შემუშავებულია “ალტა სოფთვეარი“-ს მიერ. პროგრამა უზრუნველყოფს კომპანიის ოპერაციების სრულყოფილ აღრიცხვასა და ანალიზს. ასევე სამეთვალყურეო საბჭოს მიერ შექმნილი და დამტკიცებულია პოლიტიკა-პროცედურები. ამავე დროს, მზადდება დეტალური ფინანსური და საკრედიტო ანგარიშგების მომზადება ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცებული პარამეტრების მიხედვით.

#### კომპანიის მისია

გლობალ კრედიტის მიზანს წარმოადგენს დააფინანსოს კერძო სექტორი და კომპანიები, რათა უზრუნველყოს მათი სტაბილური ზრდა და პერსპექტივა. ასევე, გასცეს სესხები დამწყებ ბიზნესზე და შექმნას დამატებითი დასაქმების შესაძლებლობა. კომპანია გეგმავს პარტნიორთა შენატანების ხარჯზე საქმიანობის გაფართოებას. დანერგოს ახალი პროდუქტები და გაზარდოს კლიენტთა ბაზა. მიუხედავად ამისა, ბიზნეს გეგმა არ ითვალისწინებს მნიშვნელოვან ცვლილებას კომპანიის სტრატეგიაში და მეთოდოლოგიაში. დაგეგმილი ზრდის ტემპი სავსებით შეესაბამება პორტფელის არსებულ დინამიკას.

#### კომპანიის მესაკუთრეები და მმართველი გუნდი

კომპანია წარმოადგენს 100%-ით კერძო საკუთრებას. მისი დამფუძნებლები მოღვაწეობენ სხვადასხვა ბიზნესში და გააჩნიათ დადებითი რეპუტაცია.

სოსო ჭანტურია, 40%-ანი წილი მფლობელი. ელგუჯა თავბერიძე, 40%-ანი წილის მფლობელი. თემურ ნიკოლაძე 20%-ის მფლობელია, ის ასევე კომპანიის დირექტორია და განსაზღვრავს კომპანიის განვითარების ძირითად მიმართულებებს.

კომპანიაში ხელმძღვანელ პოზიციებზე დასაქმებულია სათანადო გამცოდინების სპეციალისტები:

ნატალია ლილუაშვილი	მთავარი ბუღალტერი: 37 წლის განმავლობაში მუშაობდა საბანკო დაწესებულებების საფინანსო განყოფილებაში.
გიორგი ნიკოლაძე	პროექტების მენეჯერი: 22 წლის განმავლობაში მუშაობდა სხვადასხვა ბანკში საკრედიტო, საოპერაციო განყოფილებებში
გიორგი ცერცვაძე	საკრედიტო განყოფილების უფროსი, გააჩნია მიკროსაფინანსო ორგანიზაციაში 17 წლიანი მუშაობის გამოცდილება

**კომპანიის მიერ შეთავაზებული სერვისი და პროდუქტები**

მიმდინარე ეტაპზე კომპანია გასცემს სესხებს ბიზნეს და სამომხმარებლო დანიშნულებით მაქსიმუმ 10 წლის ვადით. ბიზნესის შემთხვევაში, ძირითადად ფინანსდება საბრუნავი და ფიქსირებული აქტივები. სამომხმარებლო სესხები გაიცემა რემონტისათვის, ავტომობილისა და საყოფაცხოვრებო ტექნიკის შეძენის მიზნით:

შეთავაზებული პროდუქტების ჩამონათვალი:

პროდუქტი	მიზნობრიობა	პროცენტის დიაპაზონი	გაცემის საკომისიო	უზრუნველყოფა
ბიზნეს სესხი	ფიქსირებული აქტივების შეძენა	14 - 24 %	0,5 - 2 %	პერსონალური გარანტია/უძრავი ქონება
ბიზნეს სესხი	სარემონტო სამუშაოები	14 - 24 %	0,5 - 2 %	პერსონალური გარანტია/უძრავი ქონება
ბიზნეს სესხი	საბრუნავი საშუალებები	14 - 24 %	0,5 - 2 %	პერსონალური გარანტია/უძრავი ქონება
სამომხმარებლო სესხი	ავტომობილის შეძენა	14 - 24 %	0,5 - 2 %	პერსონალური გარანტია/უძრავი ქონება
სამომხმარებლო სესხი	საყოფაცხოვრებო ტექნიკის შეძენა	14 - 24 %	0,5 - 2 %	პერსონალური გარანტია/უძრავი ქონება
სამომხმარებლო სესხი	სესხის რეფინანსირება	14 - 24 %	0,5 - 2 %	პერსონალური გარანტია/უძრავი ქონება
სამომხმარებლო სესხი	რემონტი	14 - 24 %	0,5 - 2 %	პერსონალური გარანტია/უძრავი ქონება
სამომხმარებლო სესხი	სამომხმარებლო მიზნობრიობა	14 - 24 %	0,5 - 2 %	პერსონალური გარანტია/მვირფასი ლითონები

კომპანიას კრედიტის ვადაზე ადრე დაფარვის საკომისიო აქვს – თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6 თვემდე ვადა – 0%, გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენი ძირითადი თანხის 0.5%, თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6-დან 12 თვემდე, გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენი ძირითადი თანხის 0.5%, თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 12-დან 24 თვემდე, გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენი ძირითადი თანხის 1%, თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 24 თვეზე მეტი, გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენი ძირითადი თანხის 2% სესხის მაქსიმალური თანხაა 200,000 ლარი. 10,000.00 ლარამდე სესხების გაიცემა ხდება პერსონალური გარანტიის საფუძველზე. უძრავი ქონების შემთხვევაში დატვირთული ქონების საბაზრო ფასი შეადგენს სესხის თანხის 120%-ს, ხოლო მანქანა დანადგარების შემთხვევაში კრედიტის თანხის 200%-ს. სესხის დამტკიცების/უარყოფის ვადა – 1 სამუშაო დღე.

### კონკურენცია

მიმდინარე ეტაპზე მიკროსაფინანსო ბაზარი მაღალი კონკურენციით ხასიათდება. განსხვავებულ სეგმენტზე მოქმედი კომპანიები აქცენტს აკეთებენ სხვადასხვა ფაქტორებზე არსებული სტრატეგიიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე.

გლობალ კრედიტს უჭირავს თავისი ნიშა ბანკსა და მისოს შორის. პიროვნული ნდობა, ლოიალურობა და რეპუტაცია მნიშვნელოვან როლს თამაშობს კლიენტების მოზიდვის კუთხით. არსებული მმართველობის ფარგლებში პორტფელის მოცულობა და მოთხოვნა სტაბილურია, თუმცა მნიშვნელოვანი ზრდა არ აღინიშნება.

### ორგანიზაციული სტრუქტურა

მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სტრუქტურა დაყოფილია ოთხ ძირითად განყოფილებად:

საფინანსო სამსახური	უზრუნველყოფს კომპანიის აღრიცხვისა და ფინანსური გატარებების სისტემის გამართულ ფუნქციონირებას
საკრედიტო განყოფილება	სასესხო პორტფელის მართვა და მონიტორინგი
იურიდიული სამსახური	სახელმწიფო სტრუქტურებთან ურთიერთობა და პრობლემური კლიენტების მართვა
სალარო	ყოველდღიური ოპერაციების წარმართვა

### ოპერაციები

კომპანიის ოპერაციები შეიძლება დაიყოს 3 ძირითად კატეგორიად:

- ბიზნეს, სამომხმარებლო, ლომბარდული და იპოთეკური სესხები;
- სწრაფი გზავნილები;
- კონვერტაციები;

პროცესები წარმართება ქვემოთმოცემული დიაგრამის შესაბამისად:

### სესხის გაცემა

<p><b>ექსპერტი</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• განაცხადის მიღება</li> </ul>	<p><b>ექსპერტი</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• პირობების გაგნობა</li> </ul>	<p><b>ექსპერტი</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ინფო დამუშავება</li> </ul>	<p><b>ექსპერტი</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• კომბიტებზე გატანა</li> </ul>	<p><b>ექსპერტი</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• დადებითი/ოქმი ფორმირება</li> </ul>
<p><b>ექსპერტი</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ხელშ. მოწაადება</li> </ul>	<p><b>იურისტი</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• იპოთეკა გირავნობა</li> </ul>	<p><b>ექსპერტი</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სესხის რეგისტრაცია</li> </ul>	<p><b>დირექტორი</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სესხის ავტორიზაცია</li> </ul>	<p><b>სალარო</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• თანხის გაცემა</li> </ul>

### გზავნილების მიღება

<p><b>მოლარე</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მიმღების იდენტიფიკაცია</li> </ul>	<p><b>მოლარე</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• გაგზავნის იდენტიფიკაცია</li> </ul>	<p><b>მოლარე</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• თანხა, კოდი შემოწმება</li> </ul>	<p><b>მოლარე</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• შემოსავლის ორდერი</li> </ul>	<p><b>მთ. ბუღალტერი</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ავტორიზაცია</li> </ul>	<p><b>მოლარე</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ოპერაციის შესრულება</li> </ul>
---	--	--	--	---	--

### გაგზავნა

<p><b>მოლარე</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მიმღების იდენტიფიკაცია</li> </ul>	<p><b>მოლარე</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• თანხა, კოდი, წარმოდგენა</li> </ul>	<p><b>მოლარე</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• პროგრამაში შემოწმება</li> </ul>	<p><b>მოლარე</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• გასავლის ორდერი</li> </ul>	<p><b>მთ. ბუღალტერი</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ავტორიზაცია</li> </ul>	<p><b>მოლარე</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• თანხის გაცემა</li> </ul>
---	--	---	--	---	--

### კონვერტაცია

<p><b>მოლარე</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• იდენტიფიკაცია</li> </ul>	<p><b>მოლარე</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• გაცვლითი კურსის შეთანხმება</li> </ul>	<p><b>მოლარე</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• თანხის მიღება</li> </ul>	<p><b>მოლარე</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• გაცვლითი ორდერი</li> </ul>	<p><b>მოლარე</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ავტორიზაცია</li> </ul>	<p><b>მოლარე</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ვალუტის გაცემა</li> </ul>
--	---	--	--	--	---

### მოკლევადიანი გეგმა

მიმდინარე ეტაპზე გლობალ კრედიტს გააჩნია კლიენტთა სტაბილური ბაზა, რომელთა დაკმაყოფილება ხდება არსებულ რესურსებზე დაყრდნობით. ბაზარზე არსებული სიტუაციიდან გამომდინარე კომპანია არ გეგმავს მნიშვნელოვან ცვლილებებს მართვის სტრატეგიაში. პროცედურების სრული დაცვით მოხდება სესხების გაცემა და მაღალი გადახდისუნარიანობის მქონე კლიენტების მობილიზება, პორტფელის სტაბილურობის შენარჩუნების მიზნით.

### გაყიდვის არხები

მიმდინარე ეტაპზე გაყიდვის არხი წარმოდგენილია კომპანიის ოფისის სახით ქალაქის ეკონომიკურად აქტიურ უბანში, სადაც ასევე ფუნქციონირებს სათაო სტრუქტურა, ვინაიდან კომპანიას არ გააჩნია ერთი ოფისი და ამ ეტაპისთვის სავსებით საკმარისია არსებული კლიენტების დაკმაყოფილებისათვის.

ფინანსური მდგომარეობა

წარმოგიდგენთ 2024 და 2025 წლის ფინანსური შედეგების ანალიზს.

	შენიშვნა	31 .დეკ. 2024	31. დეკ. 2025
<b>აქტივები</b>			
ფული და ფულადი ეკვივალენტები	6	377,626	368,151
მიმდინარე საგადასახადო აქტივები	9	1,391	51,272
გაცემული სესხები	7	2,178,858	2,355,872
აქტივის გამოყენების უფლება	8	44,493	22,398
ძირითადი საშუალებები	-	21,771	12,994
გადავადებული საგადასახადო აქტივი	-	200	6,536
სხვა აქტივები	10	74,044	76,916
<b>სულ აქტივები</b>		<b>2,698,383</b>	<b>2,894,139</b>
<b>ვალდებულებები</b>			
მიღებული სესხები	11	-	219,848
საიჯარო ვალდებულება	8	52,607	28,123
სხვა ვალდებულებები		45,179	50,049
<b>სულ ვალდებულებები</b>		<b>97,786</b>	<b>298,020</b>
<b>კაპიტალი</b>			
საწესდებო კაპიტალი	12	2,010,000	2,010,000
გაუნაწილებელი მოგება / (ზარალი)		590,597	586,119
<b>სულ კაპიტალი</b>		<b>2,600,597</b>	<b>2,596,119</b>
<b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b>		<b>2,698,383</b>	<b>2,894,139</b>

**კომენტარები ფინანსური უწყისების შესახებ:**

**ფულის ნაშთი:**

შემცირებულია დაახლოებით 9,475 ლარით, მიუხედავად ამისა აკმაყოფილებს ლიკვიდურობის კოეფიციენტის მოთხოვნებს.

**საკრედიტო პორტფელი:**

საკრედიტო პორტფელია სტაბილურია, ვინაიდან გაცემების საშუალო მოცულობა შენარჩუნებულია წლის განმავლობაში. 2026 წლის ბოლოსათვის იგეგმება პორტფელის დაახლოებით 10 % ზრდა.

**ძირითადი საშუალებები:**

ძირითად საშუალებებში 2025 წლის განმავლობაში კომპანიის მიერ შენაძენი არ განხორციელებულა.

	შენიშვნა	31.დეკ.2024	31.დეკ.2025
საპროცენტო შემოსავალი	13	426,129	408,398
საპროცენტო ხარჯი მიღებული სესხებიდან	11	(16,008)	(8,894)
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებიდან	8	(8,550)	(5,516)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		401,572	393,988
ზარალი სესხების შესაძლო დანაკარგების მიხედვით		192,745	56,707
წმინდა საპროცენტო შემოსავალი სესხის გაუფასურების ზარალის შემდეგ		594,317	450,695
შემოსავალი ჯარიმების სახით		18,630	9,129
საპროცედურო შემოსავალი		4,301	8,094
სხვა შემოსავალი		30,461	3,051
საოპერაციო ხარჯები		(496,293)	(473,149)
კურსთა შორის სხვაობის წმინდა მოგება/(ზარალი)		1,042	(3,342)
მოგება გადასახადამდე		152,457	(5,522)
მოგების გადასახადის ხარჯი	9	5,293	1,043
წლის მოგება (ზარალი)		157,750	(4,478)

- საპროცენტო შემოსავალი 2025 წელში შემცირებულია 17 731 ლარით გასულ წელთან შედარებით. 2025 წელში დაგეგმილია საპროცენტო შემოსავლის ზრდა 3-5%-ის ოდენობით.

**ბალანსის ძირითადი პუნქტების განვითარების ტენდენცია ბოლო 3 წლის განმავლობაში**

	2025	2024	2023
ფული და ფულადი ეკვივალენტები	368,151	377,626	558,379
გაცემული სესხები	2,355,872	2,178,858	2,629,469
მიღებული სესხები	219,848	-	876,817
სულ საკუთარი კაპიტალი	2,010,000	2,010,000	2,008,825
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	2,894,139	2,698,383	3,433,537

**საერთო ჯამში ტენდენცია არის პოზიტიური:**

კომპანიის საკრედიტო პორტფელი წლების მიხედვით (ლარი):

წელი	2022	2023	2024	2025
საკრედიტო პორტფელი	2,811,281	2,733,801	2,178,858	3,355,872
სულ აქტივები	3,572,808	3,433,537	2,698,383	2,894,139
მოგება	120,382	(123,300)	157,750	(4,478)

კომპანიამ 2025 წელს იზარალა 4,478 ლარით.

2025 წლის საკრედიტო პორტფელის ზრდა ძირითადად გამოწვეულია ფიზიკურ პირებზე გაცემული სამომხმარებლო, ლომბარდული და იპოთეკური სესხების გაცემით, აღსანიშნავია, რომ 2025 წელს დარეზერვებული სესხების მოცულობა საგრძნობლად შემცირებულია და 2026 წლის პირველ კვარტალში რეზერვის შემცირების ტენდენცია დადებითად მიმდინარეობს პორტფელის ხარისხის გაუმჯობესების ხარჯზე.

**კომპანიის განვითარება**

**პროგრამული უზრუნველყოფა**

ინფორმაციის მართვის სისტემების გაუმჯობესების მიზნით კომპანიას ხელშეკრულება გააფორმებული აქვს კომპანიასთან “ალტა სოფთვეარ”, რომელიც თანამშრომობს საქართველოს უმსხვილეს ბანკებსა და საფინანსო ინსტიტუტებთან. აღნიშნული პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით სრულდება როგორც ყოველდღიური ოპერაციები, ასევე ეროვნული ბანკისათვის მისაწოდებელი საკმაოდ დეტალური ფინანსური ანგარიშგებები.

გარდა ამისა, ორგანიზაციაში მიმდინარეობს დანერგილი პროგრამების “სოფთვენი”, სახელმწიფო სერვისები და სხვა პროგრამული უზრუნველყოფის, განახლება და ვერსიების ცვლილება, რაც უზრუნველყოფს კლიენტების სრულყოფილ იდენტიფიკაციას, მათ გადამოწმებას ტერორისტულ, პოლიტიკურად აქტიურ პირთა სიებში.

კომპანია ასევე ჩართულია “კრედიტ ინფოს”-ს გლობალურ ბაზაში, სადაც ხდება კლიენტების გადამოწმება არსებული დავალიანებების შესწავლის მიზნით. ამასთან ერთად რეგულარულად იტვირთება ინფორმაცია ჩვენი კომპანიის მსესხებელების არსებული ვალდებულებების შესახებ.

აღნიშნული ღონისძიებები მიმართულია, რათა სრულყოფილად დაკმაყოფილდეს ახალი რეგულაციის მოთხოვნები მსესხებელების გადახდისუნარიანობის შესწავლის მიზნით.



## Microfinance Organization Global Credit

კლიენტის იდენტიფიკაცია-ვერიფიკაციის მიზნით კომპანიას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთან.

### რეზერვები

კომპანიაში ჩატარდა ინტენსიური მუშაობა არსებული პროცედურების რეზერვების რეგულაციებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. მოხდა საკრედიტო პორტფელში არსებული კლიენტების ხელახალი განხილვა და რისკების ადეკვატურ კატეგორიაში მოქცევა.

### მსესხებელების შემოსავლების ანალიზი

კომპანიაში სესხების გაცემა ხდება არსებული პოლიტიკა-პროცედურების შესაბამისად . შევიმუშავებულია შემოსავლების შესწავლის ბანკებში არსებულ მეთოდოლოგიის ანალოგიური სისტემა, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს შემოსავლების სათანადო ანალიზის შედეგად გავცეთ სესხები და მისაღებ დონეზე ვმართოთ პორტფელის რისკები.

### რისკების მართვა, პოლიტიკა და პროცედურები

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია შემდეგ ფინანსურ რისკებთან:

#### საკრედიტო რისკი;

- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი;
- საპროცენტო განაკვეთის რისკი;
- სავალუტო რისკი;

### ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები, საიდანაც კომპანიას შეიძლება წარმოექმნას რისკები არის შემდეგი:

ფული და ფულადი ეკვივალენტები  
გაცემული სესხები  
სხვა აქტივები  
მიღებული სესხები

ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული რისკების მართვის პოლიტიკა მიზნად ისახავს კომპანიის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებას, ანალიზსა და მართვას, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესების, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრის, რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგის გზით.

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია რისკების მართვის სტრუქტურისა და ძირითადი რისკების მართვის ზედამხედველობაზე, რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების განახლებაზე და კომპანიაზე არსებითი გავლენის მქონე რისკების დამტკიცებზე.

#### საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მსესხებლის ან სხვა კონტრაგენტის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს კომპანიის ფინანსურ ზარალს.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის ფიზიკური და იურდიულ პირებზე სესხების გაცემა უძრავი ქონების უზრუნველყოფით და თავდებობით, ამდენად საკრედიტო რისკი დიდ როლს თამაშობს ორგანიზაციის რისკების მართვაში.

კომპანიას შემუშავებული აქვს საკრედიტო რისკების მართვის პოლიტიკა.

საკრედიტო პოლიტიკა განსაზღვრავს შემდეგს:

სასესხო/საკრედიტო განაცხადის განხილვისა და დამტკიცების პროცედურებს;  
მსესხებლის გადახდისუნარიანობის შეფასების მეთოდოლოგიას;

**უზრუნველყოფის შეფასების მეთოდოლოგიას;  
საკრედიტო დოკუმენტაციის მოთხოვნებს;  
სესხებისა და სხვა საკრედიტო რისკების მუდმივი მონიტორინგის პროცედურებს.**

სესხის განაცხადის დაფინანსება/არდაფინანსების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საკრედიტო კომიტეტი და ამტკიცებს კომპანიის ხელმძღვანელი. ხელმძღვანელისათვის დასამტკიცებლად წარდგენილი სესხები ეფუძნება საკრედიტო პოლიტიკით განსაზღვრულ პირობებს. წარმოდგენილი ინფორმაციის სიზუსტესა და სისწორეზე პასუხისმგებელია სესხის ოფიცერი, რომელიც კლიენტის ბიზნესის დეტალურად შესწავლისა და მისი საკრედიტო რისკის პირველადი შეფასების საფუძველზე ავსებს სასესხო განაცხადს. ამისათვის ის იყენებს შეფასების მოდელს და განცხადებაში წარდგენილი ინფორმაციის შემოწმების პროცედურებს. საბოლოოდ, საკრედიტო კომიტეტის წევრები გარკვეული კრიტერიუმების მიხედვით (კლიენტის საკრედიტო ისტორია; ფინანსური მდგომარეობა; ბიზნესის კონკურენტუნარიანობა და ა.შ.) ავსებენ სესხის განაცხადს.

მონიტორინგის საფუძველზე კლიენტის გადახდისუნარიანობის კონტროლი საშუალებას იძლევა, დროულად იქნეს თავიდან აცილებული ფინანსური ზარალის მიღების რისკი. მონიტორინგს ახორციელებენ სესხის ოფიცრები. მონიტორინგის სისტემა ხელს უწყობს საკრედიტო რისკის დროულ განეიტრალებას.

### **ფინანსური აქტივების გაუფასურების შეფასება**

ფასს 9-ის მიღებამ ფუნდამენტურად შეცვალა კომპანიის მიდგომები გაცემული სესხების გაუფასურების ანარიცხებთან დაკავშირებით. ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ მოითხოვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL)-ის დაანგარიშებას კომპანიის მფლობელობაში არსებული ყველა ფინანსური აქტივისათვის, რომელიც აღრიცხულია, როგორც ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ან რეალური ღირებულებით შეფასებული სხვა სრულ შემოსავალში ასახვით.

გაუფასურების ანარიცხები ეფუძნება (ECL)-ს, რომელიც გაანგარიშებულია 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე დაყრდნობით, თუ არ შეიმჩნევა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა ან გაუფასურების სხვა ნიშნები რეზერვების შექმნის თარიღიდან, რა შემთხვევაშიც მოსალოდნელი საკრედიტო რეზერვის ზარალი დაეყრდნობა აქტივის არსებობის განმავლობაში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს. 12 თვიანი საკრედიტო ზარალი არის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, კერძოდ ფინანსური ინსტრუმენტის დეფოლტის შემთხვევების შედეგად მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც შესაძლოა დადგეს საანგარიშო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი და 12-თვიანი საკრედიტო ზარალი გამოითვლება ან ინდივიდუალურად, ან კოლექტიურად, შესაბამისი ფინანსური აქტივების პორტფელის ხასიათიდან გამომდინარე.

კომპანიის საკრედიტო პოლიტიკის მიხედვით ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს შეფასდება, თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არის თუ არა გაზრდილი ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი, რისთვისაც გაითვალისწინებს დეფოლტის რისკის ცვლილებას ფინანსური ინსტრუმენტის დარჩენილი ვადის განმავლობაში შესაბამისად კომპანია აჯგუფებს თავის სესხებს 1-ელ, მე-2, მე-3 ეტაპებად და შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებულად:

#### **პირელი ეტაპი:**

სესხების თავდაპირველი აღიარებისას ორგანიზაცია ქმნის რეზერვს თორმეტი თვის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით.

#### **მეორე ეტაპი:**

როდესაც სესხის წარმოშობის შედეგად საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, კომპანია ქმნის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს. მეორე ეტაპის სესხები ასევე მოიცავს ისეთ სესხებს, რომელთა საკრედიტო რისკი შემცირებულია და სესხი რეკლასიფიცირებულია მესამე ეტაპიდან.



### მესამე ეტაპი:

სესხები, რომელიც გაუფასურებულად მიიჩნევა. კომპანია ქმნის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს.

#### **შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული**

შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული არის ისეთი ფინანსური აქტივები, რომლებიც გაუფასურებულია თავდაპირველი აღიარებისას. შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული აქტივები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით. თავდაპირველი აღიარებისას და საპროცენტო შემოსავლის აღიარება შემდეგ ხდება კრედიტის მიხედვით დაკორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება და შემცირება ხდება მხოლოდ აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში მომხდარი ცვლილებებს შესაბამისად. ფასს 9-ის მოთხოვნების შესაბამისად რისკის მართვის პროცესში, საკრედიტო რისკის გამოვლენის დადგენა რთული პროცესია, რომელიც გარკვეულ მოდელების გამოყენებას გულისხმობს.

**კომპანია ფასს 9-ის მოთხოვნებით საკრედიტო ზარალის (ECL) გასაზომად შემდეგ მოდელებს იყენებს.**

#### **დეფოლტის ალბათობა (PD)**

დეფოლტით გამოწვეული დანაკარგი (LGD) დეფოლტის რისკი პოზიცია (EAD)

აღნიშნული პარამეტრები შეფასებულია შიდა სტატისტიკური და ისტორიული მონაცემების გამოყენებით და გამიზნულია სამომავლო პროგნოზის ასახვისათვის.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი ECL შეფასება

კომპანია მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებს აფასებს ინდივიდუალურად ან ჯგუფურად. ECL ფასდება ინდივიდუალურად ისეთი სესხების მიმართ, რომელმაც განიცადა გაუფასურების ზარალის გამომწვევი მოვლენა, ასეთი მსესხებლებისათვის ანალიზდება სხვადასხვა იმფორმაცია; ფინანსური რისკები, ვადაგადაცილების სტატუსი, რესტრუქტურისაცია, უზრუნველყოფის სამართლიანი ღირებულება.

ინდივიდუალურად შეფასებული სესხებისათვის ფასდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული, კომპანიის მიერ მისაღები ფულადი ნაკადებისა და მოსალოდნელი ფულადი ნაკადების სხვაობის მიმდინარე ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. მოსალოდნელი თანხების გათვლაში ჩაირთვება უზრუნველყოფის რეალიზაციით მიღებული თანხები.

#### **ECL-ის შეფასება ჯგუფურად**

სესხების ჯგუფურად შეფასებისათვის, კომპანია პორტფელს ყოფს სამ სეგმენტად: უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები, ძვირფასი ლითონებით და სხვა უზრუნველყოფით უზრუნველყოფილი სესხები და არაუზრუნველყოფილი სესხები. თითოეული სეგმენტი კომპანიის მიერ შეფასებული მსგავსი საკრედიტო რისკის შესაბამისად იყოფა 7 ჯგუფად. კომპანიის (ECL)-ის შეფასების მიდგომა ასახულია ქვემოთ მოტანილ ცხრილში:

საკრედიტო პორტფელის სეგმენტი	ვადაგაც. დღეები	რესტრუქტ. სესხი	ეტაპი
უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები	0	არა	I
	0-30	არა	I
	30-60	არა	II
	60-90	არა	II
	91-180	დიახ	II
	>90-ზე	დიახ	III
	>90-ზე	არა	III
	ძვირფასი ლითონებით და სხვა უზრუნველყოფით უზრუნველყოფილი სესხები	0	არა
0-30		არა	I
30-60		არა	II
60-90		არა	II
90-180		დიახ	II
>90-ზე		დიახ	III
>90-ზე		არა	III
არაუზრუნველყოფილი სესხი		0	არა
	0-30	არა	I
	30-60	არა	II
	60-90	არა	II
	90-180	დიახ	II
	>90-ზე	დიახ	III
	>90-ზე	არა	III

### დეფოლტის განსაზღვრა

კომპანია დეფოლტს აღიარებს შემდეგ შემთხვევაში:

- მსესხებლის გარდაცვალება;
- გარე ფაქტორები, რომელიც არ ექვემდებარება კონტროლს და რომლის გამოც კლიენტი გადახდის უუნარო ხდება;
- 90 დღეზე ვადა გადაცილებული სესხები.

დეფოლტის განსაზღვრა შესაბამისობაშია ფასს 9-ის რეგულაციების მიხედვით 90 დღიანი ვადაგადაცილების პრეზუმციასთან.

## საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, საგრძნობლად გაიზარდა თუ არა ფინანსურ ისტრუმენტებზე საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდეგ კომპანია მხედველობაში იღებს სათანადო და არგუმენტირებულ ხარისხობრივ და რაოდენობრივ იმფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი ძალისხმევისა და ხარჯების გარეშე. ეს დაფუძნებულია წარსულ გამოცდილებაზე და მომავლის პროგნოზისათვის საჭირო იმფორმაციაზე. რომელიც ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი ძალისხმევისა და ხარჯების გარეშე.

როდესაც აქტივზე ვადაგადაცილება 30 დღეზე მეტია, კომპანია მიიჩნევს, რომ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა და აქტივი ხვდება გაუფასურების მოდელის მე-2 ეტაპზე ანუ დანაკარგის რეზერვი იქმნება მთელი არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით.

ასევე აქტივების კატეგორია, რომელიც კომპანიის საკრედიტო პოლიტიკის და საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციის მიხედვით არის „საყურადღებო სესხი“ მიიჩნევა რისკის მნიშვნელოვან ზრდად. რესტრუქტურირებული სესხები, როცა მოდიფიკაცია არ არსი დაკავშირებული მატერიალურ ზარალთან ჩათვლება რისკის მნიშვნელოვან ზრდად და მიეკუთვნება მე -2-ე ეტაპს.

დეფოლტის ალბათობის კოეფიციენტის (PD) განსაზღვრა

თითოეული სეგმენტისათვის დეფოლტის ალბათობის კოეფიციენტების გასაზღვრისას კომპანია იყენებს (გასული ორი წლის) ისტორიულ მონაცემებსა და ვადაგადაცილების მონაცემებზე დაყრდნობით დეფოლტის სტატისტიკურ ანალიზს.

კომპანია ითვლის გასული ორი წლის ყოველთვიურ ნაშთებს ვადაგადაცილებული ჯგუფების და სესხის ეტაპების მიხედვით, რომლის შედეგადაც მიიღება პროცენტული წილი თითოეული ვადაგადაცილებული ჯგუფისთვის, რაც ასახავს სესხის გადასვლის ალბათობას ერთი ეტაპიდან მეორეში.

გასული ორი წლის ყოველთვიური მონაცემებიდან მიიღება საშუალო ყოველთვიური განაკვეთები, რომლებიც შემდეგ გამრავლებულია მატრიცის წესზე, (8 წლის განმავლობაში) ვადაგადაცილებული ერთი ჯგუფიდან მეორეზე სესხის გადასვლის ალბათობის დასადგენად.

თითოეული ვადაგადაცილებული ჯგუფისთვის მიღებული დეფოლტის ალბათობის კოეფიციენტები გამოიყენება მოსალოდნელი ზარალის გამოსათვლელად.

დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში (LGD) განსაზღვრა

გაუფასურების მოდელის კიდევ ერთი კომპონენტია (LGD). ის გამოიყენება მოსალოდნელი დანაკარგის მოცულობის განსაზღვრისათვის რომელიც შეიძლება წარმოიშვას დეფოლტის შემთხვევაში. ამ მაჩვენებლის გამოსათვლელად კომპანია იყენებს ბოლო ორი წლის განმავლობაში გადეფოლტებული სესხების მაჩვენებელს და ამ სესხებზე დეფოლტის მომენტიდან საანგარიშგებო პერიოდამდე განხორციელებული თანხების შემოდიწებებს ყოველ წლიურ ჭრილში. ფულადი ნაკადები დისკონტირდება სეგმენტის საშუალო შეწონილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. დეფოლტის შემთხვევაში ზარალის დაანგარიშება ხდება ცალ-ცალკე თითოეული სეგმენტისათვის.

დეფოლტის რისკის პოზიციის (EAD) განსაზღვრა

(EAD) წარმოადგენს პოტენციური დეფოლტის მომენტში ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე საკრედიტო რისკის ზეგავლენის შეფასებას. ეს წარმოადგენს ეფექტური საპროცენტი განაკვეთით დისკონტირებულ ფულად ნაკადს დეფოლტის მომენტში.

დეფოლტში მყოფი რისკის პოზიცია ყველა სეგმენტისათვის ცალ-ცალკე დაანგარიშდება, მიმდინარე სესხის თანხიდან მოსალოდნელი ცვლილებების გათვალისწინებით. მოსალოდნელ ცვლილებებში იგულისხმება გრაფიკით გათვალისწინებული ძირის დაფარვები ვადაგადაცილების მომენტამდე, %-ის დარიცხვები ვადაგადაცილების მომენტიდან დეფოლტამდე.

დეფოლტში მყოფი რისკის პოზიციის დათვლა ხდება სეგმენტის საშუალო საკონტრაქტო ვადიანობის განმავლობაში, თითოეულ წელს ცალ-ცალკე.

## საპროგნოზო ინფორმაციის გამოყენება

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების გამოთვლებში კომპანია იყენებს საპროგნოზო ინფორმაციას. ეს ინფორმაცია მოიცავს ეკონომიური ინდიკატორების პროგნოზს, რომელსაც ეროვნული ბანკი აქვეყნებს პერიოდულად. დეფოლტის ალბათობის განსაზღვრის საფუძველს ქმნის სამი ეკონომიკური სცენარი (საბაზისო, პესიმისტური, ოპტიმისტური). თითოეული მათგანი დეფოლტის განსხვავებულ ალბათობას იძლევა. ამ სცენარების შეწონვა ქმნის დეფოლტის საშუალო შეწონილი ალბათობის საფუძველს, რომელიც მოსალოდნელი საკრედიტო დანახარჯების გამოთვლაში გამოიყენება.

კომპანია დეფოლტის ალბათობის გამოთვლისათვის იყენებს საქართველოს მშპ-ის ზრდის კოეფიციენტის და ინფლაციის განაკვეთის მაკროეკონომიკურ ინდიკატორებს, თუ მშპ-სთან და ინფლაციასთან კორელაცია 0.7-ზე მეტი ან -0.7-ზე ნაკლებია.

მიმდინარე ეტაპისათვის კომპანიაში დამატებითი კვლევები და მისი განვითარების მიმოხილვა არ მიმდინარეობს.

კომპანიის მიერ აქციების შესყიდვა 2025 წელში არ განხორციელებულა და არც იგეგმება 2025 წლისათვის

## საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები შეიცვლება საბაზრო ფასების ცვლილებების გამო. საბაზრო რისკი მოიცავს სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკს. საბაზრო რისკი წარმოიშობა საპროცენტო განაკვეთების მატარებელი ფინანსური ინსტრუმენტების ღია პოზიციებიდან, რომლებიც რეაგირებენ სავალუტო კურსების რყევებზე.

საბაზრო რისკების მართვის მიზანია კომპანიაზე მათი გავლენის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, რისკზე ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

## საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები განიცდის ცვლილებას საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილების გამო.

კლიენტებზე ყველა სესხი ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით გაიცემა. კომპანიას ასევე ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთების მქონე მნიშვნელოვანი პროცენტის ვალდებულებები აქვს, რომელთა უმეტესობისთვისაც საპროცენტო განაკვეთს აწესებს კომპანია. ამრიგად, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანიას არ აქვს ბაზარზე საპროცენტო განაკვეთის ცვლილების მნიშვნელოვანი რისკი.

კომპანია პროცენტის დარიცხვას აჩერებს იმ გაცემულ სესხებზე, რომელთა ამოღება გართულებული იყო და სასამართლოს მიერ სათანადო გადაწყვეტილება მიღებული. არსებული სოციალურ-ეკონომიკური გარემოების გათვალისწინებით, კომპანია უკიდურეს შემთხვევებში მიმართავს სააღსრულებო ბიუროს, კუთვნილი თანხების იძულებით დასაბრუნებლად.

### საშუალო ეფექტური საპროცენტო განაკვეთები

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახულია საპროცენტო განაკვეთის მატარებელი აქტივებისა და ვალდებულებების საშუალო ეფექტური საპროცენტო განაკვეთები 2024 და 2025 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. ეს საპროცენტო განაკვეთები ასახავს ამ აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვამდე შემოსავლიანობის მიახლოებით მაჩვენებელს.

საპროცენტო მატარებელი	2024			2025		
	საშუალო ეფექტური განაკვეთი %			საშუალო ეფექტური განაკვეთი %		
	ლარი	დოლარი	ევრო	ლარი	დოლარი	ევრო
აქტივები გაცემული სესხები	23%	0%	0%	26%	0%	0%
ვალდებულება მიღებული სესხები	0%	0%	0%	19.64%	0%	0%

### სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები განიცდის ცვლილებას სავალუტო გაცვლითი კურსის გამო.

ქვემოთ მოტანილ ცხრილებში ასახულია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების უცხოური სავალუტო პოზიციის გავლენის სტრუქტურა 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	EUR	USD	RUR	TRY	სულ
	₾ ლარი	₾ ლარი	₾ ლარი	₾ ლარი	ლარი
31 დეკემბერი 2024					
აქტივები					
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	12,940	130,762	445	18	144,165
კლიენტებზე გაცემული სესხები	-	95,179	-	-	95,179
სულ აქტივები	12,940	225,941	445	18	239,344
ვალდებულებები					
მიღებული სესხები	-	-	-	-	-
სულ ვალდებულებები	-	-	-	-	-
წმინდა პოზიცია	12,940	225,941	445	18	239,344
	EUR	USD	RUR	TRY	სულ
31 დეკემბერი 2025					
აქტივები					
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	3,778	3,778	2,469	28	10,053
კლიენტებზე გაცემული სესხები	-	-	-	-	-
სულ აქტივები	3,778	3,778	2,469	28	10,053
ვალდებულებები					
მიღებული სესხები	-	-	-	-	-
სულ ვალდებულებები	-	-	-	-	-
წმინდა პოზიცია	3,778	3,778	2,469	28	10,053

ქვემოთ მოცემულია წლის განმავლობაში გამოყენებული მნიშვნელოვანი სავალუტო გაცვლითი კურსები:  
საშუალო განაკვეთი

	2024	2025
1 აშშ დოლარი	2.7208	2.7422
1 ევრო	2.9440	3.0960

**ლიკვიდურობის რისკი**

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია სიმძლევებს წააწყდება ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებისას, რომლებიც დაკავშირებულია ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის გადაცემასთან. ლიკვიდურობის რისკი წარმოიქმნება მაშინ, როდესაც აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობა განსხვავებულია. აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობისა და საპროცენტო განაკვეთების შესაბამისობა და/ან მათი კონტროლირებადი შეუსაბამობა წარმოადგენს ლიკვიდურობის მართვის ქვაკუთხედს.

სრული შესაბამისობის მიღწევა ფინანსურ ინსტიტუტში იშვიათია, რამდენადაც ბიზნესი ხშირად გაურკვეველ დროს ვითარდება და თანაც სხვადასხვა ტიპისაა.

კომპანია მართავს ლიკვიდურობას, უზრუნველყოფს რა ხელმისაწვდომ თანხებს ნებისმიერ დროს ვადადამდგარი, ნაღდ ფულთან დაკავშირებული ვალდებულებების ჯეროვანი შესრულების მიზნით.

კომპანია ცდილობს შეინარჩუნოს დივერსიფიცირებული და სტაბილური დაფინანსება, რომელიც მოიცავს გრძელვადიან და მოკლევადიან სესხებს ბანკებისა და სხვა პირებისაგან, რათა შეძლოს სწრაფად და შეუფერხებლად უპასუხოს გაუთვალისწინებელ ლიკვიდურობის მოთხოვნებს.

ლიკვიდურობის მართვის პოლიტიკა ითვალისწინებს:

- მოსალოდნელი ფულადი ნაკადების განსაზღვრას ძირითადი ვალუტების მიხედვით და ლიკვიდური აქტივების დონის გათვალისწინებით, რომელიც აუცილებელი იქნება ამ კუთხით;
- დაფინანსების დივერსიფიცირებული წყაროების შენარჩუნებას;
- ვალდებულებების კონცენტრაციისა და პროფილის მართვას;
- ვალდებულებების დაფინანსების გეგმის უზრუნველყოფას;
- ლიკვიდურობისა და დაფინანსების გეგმების უზრუნველყოფას გაუთვალისწინებელი გარემოებების შემთხვევაში.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ასახულია მოსალოდნელი დაფარვის ვადების მიხედვით 2025 და 2024 წლის 31 დეკემბრისათვის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებული ფინანსურ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული თანხების ანალიზი:

2025 წლის დეკემბრისთვის	31 წლამდე მეტი ვადის მქონე	1-დან 5-წლამდე ვადის მქონე	5 წელზე მეტი ვადის მქონე	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	368,151	-	-	368,151
გაცემული სესხები	473,513	943,051	939,308	2,355,872
სულ ფინანსური აქტივები	841,664	943,051	939,308	2,724,023



ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	219,848	-	-	219,848
საიჯარო ვალდებულებები	28,123	-	-	28,123
სხვა ვალდებულებები	50,049	-	-	50,049
სულ ფინანსური ვალდებულებები	298,020	-	-	298,020
ლიკვიდურობის სხვაობა	543,644	943,051	939,308	2,426,003
წმინდა ლიკვიდურობის სხვაობა	543,644	1,486,695	2,426,003	

2024 წლის დეკემბრისთვის	31 წელზე მეტი ვადის მქონე	1-დან 5-წლამდე ვადის მქონე	5 წელზე მეტი ვადის მქონე	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	377,626	-	-	377,626
გაცემული სესხები	911,676	871,448	395,734	2,178,858
ფინანსური ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულებები	21,693	30,914	-	52,607
სხვა ვალდებულებები	45,179	-	-	45,179
სულ ფინანსური ვალდებულებები	66,872	30,914	-	97,786
ლიკვიდურობის სხვაობა	1,222,430	840,534	395,734	2,458,698
წმინდა ლიკვიდურობის სხვაობა	1,222,430	2,062,964	2,458,698	

ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები არიან კომპანიის დირექტორი თემური ნიკოლაძე და საკრედიტო განყოფილების უფროსი გიორგი ცერცვაძე.

დამტკიცებულია:

დირექტორი: თემური ნიკოლაძე

თარიღი: 3 ივნისი, 2026



ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	219,848	-	-	219,848
საიჯარო ვალდებულებები	28,123	-	-	28,123
სხვა ვალდებულებები	50,049	-	-	50,049
სულ ფინანსური ვალდებულებები	298,020	-	-	298,020
ლიკვიდურობის სხვაობა	543,644	943,051	939,308	2,426,003
წმინდა ლიკვიდურობის სხვაობა	543,644	1,486,695	2,426,003	

2024 წლის დეკემბრისთვის	311 წელზე მეტი ვადის მქონე	1-დან 5-წლამდე ვადის მქონე	წელზე მეტი ვადის მქონე	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	377,626	-	-	377,626
გაცემული სესხები	911,676	871,448	395,734	2,178,858
ფინანსური ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულებები	21,693	30,914	-	52,607
სხვა ვალდებულებები	45,179	-	-	45,179
სულ ფინანსური ვალდებულებები	66,872	30,914	-	97,786
ლიკვიდურობის სხვაობა	1,222,430	840,534	395,734	2,458,698
წმინდა ლიკვიდურობის სხვაობა	1,222,430	2,062,964	2,458,698	

ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები არიან კომპანიის დირექტორი თემური ნიკოლაძე და საკრედიტო განყოფილების უფროსი გიორგი ცერცვაძე.

დამტკიცებულია:

დირექტორი: თემური ნიკოლაძე

თარიღი: 3 ივნისი, 2026